

საბა

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№ 8

აგვისტო

2006

პაპის შეხვედრა ვალენსიაში  
სინოდის მოლოდინში  
საუბრები სინოდის წევრებთან  
ბენედიქტელთა ჩირაღდანი თბილისში  
ახალგაზრდები ივლიტაში  
წმიდა პეტრეს ბაზილიკა რომში

რედაქციის გვერდი

### სინოდის მოლოდინში

დროის უსწრაფესად გვიახლოვდება ჩვენი ეკლესიის სინოდი; იგი გაიმართება წეროვანის სემინარიაში 4-დან 8 სექტემბრის ჩათვლით; ვინ იცის, ყველაფერი იქნება მზად? ვინ იცის, როგორ ელიან მას ჩვენი მორწმუნეები? მრავალი მათგანისთვის ეს სიტყვა ძალზე ახლობელი გახდა იმ ღოცვის წყალობით, რომელიც ეპისკოპოსის თხოვნით ყოველდღიურად წარმოითქმება პერსონალურად, მრევლთან ერთად კვირადღეს, ეკქარისტიული მსახურების დასრულებისას. რასაკვირველია, სინოდი დიდი მადლი და დიდი შესაძლებლობაა საქართველოში ჩვენი კათოლიკე ეკლესიისათვის. ჩვენი ეპისკოპოსის 2006 წლის *სამწყესო წერილი* “ვიაროთ ერთად”, იანვრის თვეში მომზადებული კითხვარი საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ვითარების გასაცნობად – ყოველივე ეს იყო მცდელობა, რათა ნათელი გამხდარიყო სინოდის აზრი და რაც შეიძლება მეტი კათოლიკე ჩართულიყო მასში. სინოდი, ეტიმოლოგიურად ნიშნავს “ვიაროთ ერთად”, მაგრამ თეოლოგიურად და ეკლესიოლოგიურად ეს მისი ღრმა მნიშვნელობაა; ერთად სვლისათვის საჭიროა სურვილი, საერთო მიზანი, საერთო გრძნობა, ყველაფერი, რაც ეკუთვნის ეკლესიას და უწმიდესი სამების რეალობას; ნამდვილი ქრისტიანია ის, ვინც თავისი გემოვნების მიხედვით დასახულ საკუთარ მიზანთან ეულად კი არ დადის, არამედ მათთან ერთად, ვინც მის მსგავსად არის ქრისტიანი; მარტოსაც შემიძლია ვიყო ქრისტიანი, სხვა ქრისტიანთან ყოველგვარი კავშირის გარეშე, მაგრამ ამ შემთხვევაში მე ნახევრად ქრისტიანი ვიქნები, რომელმაც დაკარგა თავისი სამშობლო, თავისი ფესვები; რამდენი ქრისტიანი ცხოვრობს დღეს დედამიწაზე ამგვარად! ვისაც მზაკვრულად სურს ქრისტიანობის დანგრევა, ცდილობს ერთმანეთს დააშოროს ქრისტიანები, წინ წამოსწიოს ეკლესიიდან დაცილებული ქრისტეს ფიგურა; დღესაც კი, როდესაც საკუთარი რწმენის აღსარებაში ამხელა თავისუფლება იგრძნობა, იგივე თავისუფლება იქცევა საბაბად, რომ აღიარო ის, რაც სხვისი აზრით არის კეთილი, სწორი, მორალური, დამოუკიდებლად ეკლესიის, მისი სწავლების, მისი ტრადიციისა და სახარების თვალთახედვისაგან.

სინოდის მოწვევა კი საპირისპიროს რწმენას ნიშნავს; ეს ღმრთისაგან კურთხეული მომენცია, რაკი ღმერთი იქ არის, სადაც ერთად მიაბიჯებენ. ღმერთი არ არის იქ, სადაც ერთად არ მიაბიჯებენ; იქ მხოლოდ ღმრთის ანტაგონისტია, ანტიქრისტე და სატანაა. ერთად სვლა შეიძლება საკუთარი თავისუფლების, საკუთარი დროის, საკუთარი არჩევანის, საკუთარი ინტერესების შეზღუდვად

ჩათვალო; და მაინც, აღორძინება იწყება ერთად სვლით; ყველაფერი უკვალოდ გაქრება, თუ ერთად არ ვივლით.

გამოკვეთილია სამი ძირითადი თემა, რაზეც უნდა დაფიქრდნენ სინოდის წევრები: *ერთიანობა, ფორმაცია და საერთო როლი ჩვენს ეკლესიაში*. სამივე თემა კითხვარების პასუხებიდან და სინოდის კომისიის მუშაობიდან იქნა წამოწეული; კითხვარებზე გაცემული პასუხების ანალიზიდან სინოდის წევრებმა შემდეგ პრობლემებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება: კათოლიკური ტაძრების დაბრუნება, მართლმადიდებელ ეკლესიასთან დიალოგი, დიდი ყურადღების გამოჩენა ახალგაზრდების პრობლემებისადმი (სამუშაო ადგილის ძებნაში მათი დახმარება), შერეული ქორწინებების პრობლემა, სადაც კათოლიკეები იძულებულნი არიან, გადაინათლონ, მორწმუნეთა შენარჩუნება, რწმენის ნაკლებობა, საქართველოში კათოლიკე ეკლესიის იურიდიული სტატუსის აუცილებლობა, ახლადშექმნილი ოჯახებისადმი ყურადღება, პასტორალური ზრუნვა ადამიანების მიმართ. ძნელი იქნება აქ ჩამოთვლილი ყველა პრობლემის განხილვა; ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ზოგიერთი თემა მივიწყებული იქნა; ცხადია, სინოდი ვერ შეძლებს ყველა მათგანზე გამართოს დისკუსია, თანაც ზოგიერთი თემა დამოკიდებული არაა მხოლოდ სინოდზე: არის მოთხოვნა, რომ მონაწილეობა მიიღონ და კეთილი ნება გამოხატონ სხვა კომპონენტებმაც, როგორც არის სახელმწიფო, საპატრიარქო და, შემდეგ, ქართულ საზოგადოებაში მენტალიტეტის შეცვლა.

ვიდრე საკითხები თემებად იქცევიან, ისინი ცხოვრების სტილს წარმოადგენენ, რაც ასე მნიშვნელოვანია ჩვენი ეკლესიისათვის, რომელიც მომავალს გააყურებს; თუკი კათოლიკე ეკლესია საქართველოში ძნელ პერიოდს გადის, უმთავრესად, ეს თავისი შიდა პრობლემების მიზეზით არ ხდებოდა, თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მრავალმა კათოლიკემ თითქოს დაივიწყა საკუთარი წარმომავლობა, მაგრამ არის სხვა მიზეზები, როგორცაა ანტიკათოლიკური პროპაგანდა, კათოლიკე ეკლესიების დაბრუნების პრობლემა, ემიგრაცია... ყოველივე ამის მიუხედავად, ოპტიმისტურად შეიძლება გავყურებდეთ მომავალს, თუკი ეს სამი სიტყვა, ერთად გაზიარებული, ცხოვრების სტილს შექმნის; ერთიანი საკრებულო, მორწმუნენი, რომლებიც მუდმივად ანახლებენ თავს და პასიურად არ იღებენ ტრადიციას და ქრისტიანად თავის გასაღების ყველაზე იოლ და უმოკლეს გზას, საერო პირები, რომლებიც სამრევლოში ისე გრძნობენ თავს, როგორც ოჯახში და არა სტუმრებივით, საპასუხისმგებლო მსხვერპლის ფასდაც; უნდა ვიმედოვნოთ, რომ კათოლიკებისთვის რწმენა ან რელიგია უბრალოდ საკუთარი ინტერესების ძიება არ არის, როგორც ეს სჩანს ზოგიერთ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციაში ან რაღაც დროის გატარება ისეთი რიტორიკისათვის, რაც არაფერს ემსახურება, თუ არა ლიტონი სიტყვების წარმოთქმას და თავის მოჩვენებას ტოლერანტებად.

თავად სინოდი იქნება ჩვენი ეკლესიის ერთიანობის გამომხატველი, რომელსაც სურს და სწადია ერთიანობა როგორც თავის რეალობაში, ასევე სხვა ეკლესიებთან. ეს თემა მხოლოდ პრობლემატურობიდან არ იბადება, არამედ თვით ეკლესიის ყოფიერებიდან, რომელსაც არ შეუძლია არ იყოს ერთი. თავად სინოდი იქნება ფორმაციის, საკუთარი რწმენის გადრმავეების, საკუთარი ტრადიციის გადრმავეების მომენტი ლიტურგიის, მოსმენის, დიალოგის, განსჯის, ტექსტების ფორმულირების მეშვეობით; თავად სინოდი იქნება საერო პირების ყოფნის მომენტი, მათი, ვინც საკრებულოებიდან ან საკრებულოებში იქნენ არჩეულნი; თავიანთ ნათლობის ღირსებაზე და ამ ეკლესიაში და ამ ქვეყანაში თავიანთ პასუხისმგებლობაზე გათვითცნობიერებული საერო პირები: საკუთარ ეპისკოპოსთან, რომის პაპთან, საკუთარ მწყემსებთან, სასულიერო პირებთან

ზიარებაში მყოფი ერისკაცები. თუკი ჩვენს ქვეყანას საერო კათოლიკე პირების გარეშე არსებობა შეუძლია, ჩვენს ეკლესიას ეს არ შეუძლია.

ამ დღეებში, საქართველოში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებმა აჩვენა, თუ რარიც ძნელია ერთად სვლა, საერთო პროექტის, საერთო მიზნების ქონა: მარტო იმაზე დაფიქრდეთ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმის ლტოლვილებით დასახლებულ სასტუმრო “მედიაში” მოხდა; სხვა ფაქტები კი, როგორცაა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი ამერიკაში, თბილისში მომუშავე სტუდენტი ახალგაზრდები – თითქოს ყველაფერი ეს ერთად სვლის მაგალითს იძლევა ან სულაც მის მოძიების მცდელობას. ცხადია, საქართველოს ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ნათელი მიზანი, რაც რეალობის შეცნობის და ხალხთან ხელისუფლების სიახლოვის ნაყოფია, განსაკუთრებით, ყველაზე გაჭირვებულებთან. რეალობა სულ სხვაგვარია, საერთო მიზნები ნაყოფს მხოლოდ რამდენიმე კატეგორიისათვის იღებენ, უფრო მათთვის, ვისაც ამის საჭიროება არ გააჩნია.

მოახერხებს თუ არა ჩვენი სინოდი, რომ ცოტათი მაინც დააინტერესოს ჩვენი ხელისუფლება, არა მხოლოდ რელიგიური ასპექტით, არამედ როგორც შესაძლებლობა ჩვენი ხალხის იმ ნაწილთან დასახლოებლად, რომლებიც მოუსმენლად არ უნდა დარჩნენ? შეუძლებელი იქნება პრეზიდენტთან შეხვედრაზე ფიქრი? შეძლებს სინოდი ცოტათი მაინც მიიქციოს მას-მედიის ყურადღება, არა დებატების გამართვის მიზნით, უბრალოდ, საინფორმაციო დონეზე? შეძლებს ჩვენი სინოდი სხვა ეკლესიებში და რელიგიებში დაინტერესების გამოწვევას? ფიქრი პატრიარქთან შეხვედრაზე შეუძლებელი ხომ არ იქნება? მოახერხებს ჩვენი სინოდი საქართველოში მყოფ ყველა კათოლიკეში გამოიწვიოს ინტერესი “ერთად სვლის” სილამაზეზე, როგორც პატარა რეალობა მთელს მსოფლიოში არსებული დიდი კათოლიკე ეკლესიისა?

## მამა გაბრიელე ბრაგანტინი

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში

### პონტიფიქსის ვიზიტი ვალენსიაში

ბენედიქტე XVI-ის ორდლიანი ვიზიტი ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში ივლისის ცენტრალური მოვლენა იყო. წმიდა მამა ვალენსიას ოჯახთა V მსოფლიო შეხვედრაზე დასასწრებად ეწვია. ეს შეხვედრა ჯერ კიდევ წმიდა მამის იოანე პავლე II-ის პონტიფიკატის დროს იყო დაგეგმილი. თუმცა, ორმა მოვლენამ ვალენსიის შეკრება თითქმის წინაწარ დაგეგმილ სიმბოლურ მსხემობად აქცია.

პირველი მათგანი ესპანეთში მიმდინარე, ვიტყვით პირდაპირ, ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართული სოციალისტური რეფორმებია, ხოლო მეორე – პაპის ვიზიტამდე მცირე ხნით ადრე ვალენსიის მეტროში მომხდარი კატასტროფაა, რომელმაც ათეულობით ადამიანი იმსხვერპლა. რაღა თქმა უნდა, წმიდა მამამ დაღუპულები ვიზიტამდეც და ვიზიტის დროსაც არაერთხელ მოიხსენია თავის სიტყვებსა და ღოცვებში.

ოჯახს თანამედროვე ეპოქაში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქმე ისაა, რომ, სხვა ტრადიციული ინსტიტუციების მსგავსად, ოჯახისა და ქორწინების ცნებაც დღეს მძიმე კრიზისშია. რადიკალური სეკულარიზმი ეჭვის ქვეშ აყენებს ქორწინებას როგორც ოდენ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ტრადიციულ ფორმას. აქედან გამომდინარე, “ახალი კულტურა” ოჯახის კონცეპტის შეცვლას ცდილობს – “პოსტთანამედროვე” (ამგვარად უწოდებენ იმ ეპოქას, რომელშიც XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული გვიხდება ცხოვრება)

თვალსაზრისის თანახმად, ოჯახი აღარ მოიაზრება როგორც ქალისა და მამაკაცის სიყვარულისა და ბუნებრივი გზით შთამომავლობის შექმნის ტრადიციული ინსტიტუცია. ამის თვალსაჩინო მაგალითებია რამდენიმე დასავლურ ქვეყანაში (ჰოლანდია, ბელგია, კანადა, ესპანეთი და ა.შ.) ჰომოსექსუალურ ქორწინებათა დაკანონება, ზოგიერთ შემთხვევაში “წყვილთა” მხრიდან შვილის აყვანის ნებართვის ჩათვლით.

ცხადია, წმიდა საყდარი ენერგიულად ილაშქრებს ამის წინააღმდეგ, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ეს პროტესტი იკარგება როგორც “ხმა მღალღებლისა უდაბნოსა შინა”. რა თქმა უნდა, ბენედიქტე XVI-ს უკვე დასრულებულ ვიზიტს ეს კონტექსტიც უძღვოდა წინ – ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ გასულ წელს ზაპარეტოს სოციალისტურმა რეჟიმმა ესპანეთში ჰომოსექსუალური ქორწინებები კონსტიტუციურად დააკანონა.

ვალენსიაში ოჯახთა მსოფლიო შეხვედრას, ცხადია, მემარცხენეთა მხრიდან პროტესტი მოჰყვა – “ადამის სამოსში” გამოწყობილმა ველოსიპედებზე ამხედრებულმა სოციალისტური ფასეულობების მხარდამჭერებმა აღლუმიც კი მოაწყვეს, რომელსაც ქრისტიანული მრწამსის აღმსარებელთა მხრიდან, რაღა თქმა უნდა, არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია.

აქ ჩვენ მკითხველების ყურადღება გვსურს ერთ გარემოებაზე შევაჩეროთ. XX საუკუნის 60/70-იან წლების დასავლეთში მოხდა ის, რასაც დღეს “სექსუალურ რევოლუციას” უწოდებენ. ამის შედეგად სექსუალობა და მორალი საშუალო არაეკლესიური დასავლელის ცნობიერებაში ერთმანეთს დასცილდა, ხოლო ცოდვის ცნება “დრომოჭმულ” კატეგორიად გამოცხადდა. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დასავლეთში ქრისტიანულ ღირებულებებს ცალსახად უარყოფენ. პირქით – იოანე პავლე II-ის შთამბეჭდავი პონტიფიკატის დროს ეკლესიები ისევ გაივსო და კათოლიკეთა რაოდენობაც გაიზარდა. მაგრამ, ამასთანავე, სწორედ 80/90-იან წლებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ის, რასაც შეიძლება “კულტურათა სამოქალაქო ომის” სიტუაცია ვუწოდოთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი მხრივ, არსებობს ქრისტიანული კულტურა ტრადიციული ღირებულებებით, ხოლო, მეორე მხრივ, – “ლიბერტინული კულტურა”, რომლისთვისაც, დოსტოევსკის ცნობილი სიტყვები რომ გავიმეოროთ, “ყველაფერი დასაშვებია”. სწორედ ამ ორი კულტურის დაპირისპირება განსაზღვრავს დღეს დასავლეთის (და არა ოდენ დასავლეთის) ისტორიას.

8 ივლისს ბენედიქტე XVI-მ თავისი პირველის სიტყვა ვალენსიის აეროპორტში წარმოთქვა, სადაც მას ესპანეთის სამეფო ოჯახი, ქვეყნის ხელმძღვანელობა, ესპანეთის სამღვდელთა და მრავალრიცხოვანი მორწმუნენი შეეგებნენ. ამის შემდეგ ის უკვე ოჯახთა წარმომადგენლებს შეხვდა და მათ ამგვარად მიმართა:

“ქრისტეს რწმენით გაერთიანებულნი ჩვენ, როგორც ერთი ოჯახი, სხვადასხვა ქვეყნებიდან შევიკრიბეთ, რათა სიხარულით კიდევ ერთხელ დავამოწმეთ და ვაღიაროთ, რომ უფალმა ადამიანი თავის ხატად და მსგავად შექმნა. ეს ღმერთმა იმიტომ მოიმოქმედა, რათა ადამიანს უყვარდეს, რადგან მხოლოდ სიყვარულის გზით ხდება ადამიანი ის, რაც უნდა იყოს – უანგარო ძღვენი სხვებისათვის. ოჯახი განსაკუთრებული სიერცევა, სადაც ადამიანი სიყვარულის მიღებასა და გაცემას სწავლობს. ამიტომაც, ეკლესია გამორჩეული სამწყსო ზრუნვით ეპყრობა ადამიანური პიროვნების ამ ფუძემდებლურ სფეროს. ეკლესიის მოძღვრება გვეუბნება: “ღმერთმა, რომელიც სიყვარულია და რომელმაც ადამიანი სიყვარულისათვის შექმნა, თავის ქმნილებას მოუწოდა, რომ უყვარდეს. როცა მან ქალი და მამაკაცი შექმნა, უხმო მათ, რომ ქორწინებაში ეპოვნათ საზიარო ცხოვრება და სიყვარული. ამიტომაც, ისინი არა ორ, არამედ ერთ სხეულს შეადგენენ (იხ. მათე 19:6).”

...ოჯახი ხალხთათვის აუცილებელი სიკეთეა, საფუძველია, რომელსაც საზოგადოება გვერდს ვერ აუქცევს, დიადი საგანძურია – მთელი სიცოხლის მანძილზე. ეს სიკეთე შეუცვლელი რამაა ბავშვებისათვის, რომელნიც სიყვარულის ნაყოფნი და მშობელთა ერთობის უანგარო ძღვენი უნდა იყვნენ... მამამ და დედამ ღმრთის წინაშე ერთმანეთს შეუქცევადი “ღიას” უთხრეს. სწორედ ეს თანხმობაა იმ საიდუმლოს საფუძველი, მათ რომ აერთიანებს. ამგვარადვე, რათა ოჯახის შინაგანი კავშირი მთლიანი იყოს, მათ იგივე “ღიას” უნდა უთხრან მათ მიერ გაჩენილ თუ ნაშვილებ საკუთარ ბავშვებს.”

ბენედიქტე XVI-მ აღნიშნა, რომ, უპირველეს ყოვლისა, თითოეული ბავშვი ღმრთის შვილია, “რომელიც ჩასახვიდანვე უნდა დავიცვათ, ხოლო დაბადების შემდეგ ქრისტიანული სიყვარულით აღვზარდოთ.”

პონტიფიქსის ხანმოკლე ვიზიტი საკმაოდ დატვირთული იყო. თუმცა, მისი მრავალრიცხოვანი შეხვედრებიდან და სიტყვებიდან განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს 9 ივლისს წარმოთქმული ქადაგება, რომელიც მან ვალენსიის საკათედრო ტაძარში წმიდა წირვის ჩატარებისას წარმოთქვა. წმიდა მამამ შეკრებილთ ასე მიმართა:

“თანამედროვე კულტურაში ჩვენ ხშირად თვალს ვადევნებთ თავისუფლებით გადაჭარბებულ ტკობას, როცა ადამიანი ისე იქცევა, თითქოს ის თვითემარი და თვითქმნილი ავტონომიური სუბიექტი იყოს, რომელიც სხვებისაგან დამოუკიდებლად და სხვათა გაუთვალისწინებლად მოქმედებს. ხანდახან ცდილობენ, რომ თანამედროვე საზოგადოება ოდენ სუბიექტურ და ევემერულ სურვილთა საფუძველზე ააგონ – იმგვარი ობიექტური წანამძღვრების გარეშე, როგორებიცაა უმაღლესი ჭეშმარიტებანი, ცალკეული ადამიანის ღირსება, მისი უფლებები და საჭიროებანი, რომელთა დასაცავადაც მოწოდებულია თითოეული სოციალური ჯგუფი.

სწორედ ამიტომ, ეკლესია მუდმივად უნდა შეგვახსენებდეს, რომ ადამიანის ჭეშმარიტი თავისუფლების საფუძველი ისაა, რომ ღმერთმა თავის ხატად და მსგავად შეგვქმნა. ქრისტიანული განათლება თავისუფლებაში მისაღები და თავისუფლებისაკენ მისასვლელი განათლებაა. ჩვენ არ ჩავდივართ სიკეთეს როგორც მონები, რომლებსაც სხვა რამის ჩადენა არ ძალუძთ, არამედ ჩვენ სიკეთეს ვიქმთ იმიტომ, რომ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ სამყაროს წინაშე, იმიტომ, რომ გვიყვარს ჭეშმარიტება და სიკეთე, იმიტომ, რომ გვიყვარს თავად ღმერთი და, ამდენად, – მისი ყველა ქმნილება. სწორედ ესაა ჭეშმარიტი თავისუფლება, რომლისკენაც სული წმიდა მიგვიძღვება...

ქრისტიანული ოჯახი – მამა, დედა და შვილები – მოწოდებულია, რათა ყოველივე ამას ჩადიოდეს არა გარეგანი აუცილებლობით ნაკარნახევი ვალდებულების გამო, არამედ უნდა გასცემდეს სიკეთეს როგორც ქორწინების საიდუმლოს მადლით აღსავსე ძღვენს... სწორედ ესაა იმედის უწყება, რომელსაც სამყაროს ყველა ქრისტიანულ ოჯახთან ერთად ვიზიარებ ვალენსიაში. ამენ”.

იაკობ ღუმბაძე

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

## წმიდა მოციქულთა დღესასწაული

*პაპო, შენ ხარ პეტრეს მემკვიდრე,  
შენ ხარ მოძღვარი,  
ვინც რწმენაში განამტკიცებს საკუთარ მოძმეთ!*

29 ივნისი – წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ხსენების დღე – განსაკუთრებული საზეიმო განწყობით აღინიშნება კათოლიკურ სამყაროში. წმ. პეტრე ხომ რომის პირველ პაპად არის აღიარებული და პაპების საყდარიც სწორედ უპირველესი მოციქულის აკლდამაზეა დაფუძნებული.

წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ხსენების დღე ის ერთადერთი დღეა, როდესაც მთელ მსოფლიოში გაფანტულ კათოლიკურ საკრებულოებში გროვდება შემოწირულობა პაპისათვის.

ამ ოციოდე წლის წინ ერთ-ერთ რელიგიურ ჟურნალში გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ამ დღეს 70 მილიონი დოლარის ოდენობის შემოწირულობა გროვდებოდა. განვლილი ორი ათწლეულობის განმავლობაში კათოლიკეთა რაოდენობა თითქმის 200 მილიონით გაიზარდა, გაიზარდა შემოწირულობაც და აქვე აღვნიშნავთ, რომ გაიზარდა პაპის მიერ გაწეული ქველმოქმედების მოცულობაც.

წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა დიდდღესასწაული განსაკუთრებულად აღინიშნება ამ წმიდანთა სახელზე ნაკურთხ თბილისის ტაძარშიც, რომელიც 1870 წლიდან მოქმედებს. ამ სახელოვან ტაძარს, რომლის არქიტექტურაც რომის წმ. პეტრეს ბაზილიკის შემცირებულ ასლს წარმოადგენს, არ შეუწყვეტია არსებობა არც ბოლშევიკური (არც თვით ხრუშოვისდროინდელი) რეპრესიების დროს. ეს ტაძარი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე იყო მთელს კავკასიაში ერთადერთი, ოფიციალურად რეგისტრირებული მოქმედი კათოლიკური ტაძარი, – მთელი კავკასიიდან, ასევე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან სასოებით მოსული მორწმუნეების სულიერი ნავსაყუდელი; ტაძარი, სადაც ლათინური წესის მორწმუნეებთან ერთად თავს იყრიდნენ სხვადასხვა აღმოსავლური წესის კათოლიკეებიც; ტაძარი, სადაც საბჭოური რეჟიმის მოწინააღმდეგე მართლმადიდებლები მოდიოდნენ, რათა მოესმინათ უშიშრად, უკომპრომისოდ ნაქადაგები ღმრთის სიტყვა; ტაძარი, რომლის წინამძღვარს კონსტანტინე საფარიშვილს პაპი პავლე VI-ს ქართულად უგზავნიდა დაბადების დღის მისალოცს... მრავალი სასახელო ამბავი უკავშირდება ამ ტაძარს და მის წინამძღვრებს: ანტონიშვილს, ვარდიქს, სნეჟინსკის... კიდევ მრავალი დამსახურების ჩამოთვლა შეიძლებოდა! ამ ტაძრის მრევლის ნაწილმა 1999 წლიდან წმ. მარიამის ზეცად აღევალების საკათედრო ტაძარში გადაინაცვლა. ამ ტაძრის დამსახურებების ნუსხის მწვერვალი კი 1999 წელს წმიდა მამის იოანე პავლე მეორის სტუმრობა იყო. ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად საკურთხეველის მარცხენა კედელს მემორიალური დაფა ამშვენებს.

2006 წელს ტაძარში ახალი ტრაპეზი აღიმართა, რომლის კურთხევაც წმიდა მოციქულების ხსენების დღისადმი მიძღვნილ წმ. წირვაზე აღასრულა ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ სამღვდლო დასთან ერთად.

**ნუგზარ ბარდაველიძე**

## პაპისადმი მიძღვნილი მიღება

წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა დღესასწაული საქართველოში წმიდა საყდრის დესპანის, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, მთავარეპისკოპოსის კლავდიო გუჯეროტის მიერ შერატონ მეტეხი პალასში მოწყობილი საზეიმო მიღებით დასრულდა. მიღება მიეძღვნა მის უწმიდესობას, პაპ ბენედიქტე XVI-ს. 29 ივნისი ხომ წმ. პეტრეს მემკვიდრეთა, ანუ რომის პაპების დღესასწაულიცაა.

მიღებას ესწრებოდნენ კავკასიაში სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, ლათინური და სომხური წესის მღვდლები და სხვადასხვა ორდენების მონაზვნები; მართლმადიდებელ ეკლესიის წარმოადგენდა მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი) და სასულიერო აკადემიის პრორექტორი, ქაშვეთის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე. მიღებას ესწრებოდნენ მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, მთავრობის წევრები, საქართველოში აკრედიტებული სხვადასხვა სახელმწიფოების სრულყოფილებიანი ელჩები და სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლები, მათ შორის საქართველოში სომხური სამოციქულო ეკლესიის ეპარქიის მმართველი, ეპისკოპოსი ვაზგენი და სხვანი.

მისი უწმიდესობის ბენედიქტე XVI-სადმი მიძღვნილი საღამო გახსნა მასპინძელმა, მთავარეპისკოპოსმა კლავდიო გუჯეროტიმ.

*დიდად პატივცემულო სტუმრებო,*

*ძვირფასო მღვდლებო და ბერ-მონაზვნებო, ძვირფასო მეგობრებო,*

*დრო სწრაფად გადის. 2005 წელს ჩვენ ერთად გამოვემშვიდობეთ მის უწმიდესობა რომის პაპ იოანე პავლე II-ს; ახალ პაპს, მის უწმიდესობა ბენედიქტე XVI-ს კი ყოველივე კარგი ვუსურვეთ მის ურთულეს საქმიანობაში. მას შემდეგ ერთ წელზე მეტი გავიდა და აი, დღეს კვლავ ვზეიმობთ პაპის საპატივცემულო დღეს.*

*საქართველომ ძალისხმევა არ დაიშურა დემოკრატიის ვზაზე წინსვლის, შიდა პრობლემების გადაწყვეტის, ახალი საწარმოების შექმნის და, საერთოდ, თავისი მოქალაქეებისათვის უკეთესი მომავლის შესაქმნელად.*

*წმიდა საყდარმა, თავისი სპეციფიკური ბუნებიდან და მისიდან გამომდინარე, მხარი დაუჭირა, ქვეყნის შიგნით და გარეთ, საქართველოს მიერ გადადგმულ ჯანსაღ და მშვიდობიან ნაბიჯებს და მათ მიმართ ღრმა პატივისცემის გრძნობით გამსჭვალულმა ყოველმხრივ სცადა საერთაშორისო საზოგადოებისათვის გაეცნო ისინი. ჩვენ მომავალშიც ასე გავავრძელებთ...*

*ჩვენ ხელს შევეუწყობთ საქართველოში მიმდინარე, გულდასმით დაგვემიღ და თანმიმდევრულად განხორციელებულ სოციალურ პროგრამებს, რომელიც დაასაქმებს მოსახლეობას, დაიცავს მათ ჯანმრთელობას, აამაღლებს ადამიანის ღირსებას, პატივს სცემს ქალისა და ბავშვის უფლებებს (მათ შორის იმ ბავშვებისაც, რომელთაც დღეს ხელს ვკრავთ და თავიდან ვიცილებთ), როცა ყოველი მოქალაქე, მდიდარი თუ ღარიბი, ძლიერი თუ სუსტი, თანაბრად მნიშვნელოვანი იქნება, როცა ყველა ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესება უმთავრეს მიზნად იქცევა.*

*წმიდა საყდარს შეუძლია და სურს კიდევ უშუალოდ ჩაებას და თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში. ესაა ჩვენი და არა მხოლოდ ჩვენი დიპლომატია თუ პოლიტიკა. ჩვენ არ შეგვიძლია და არც გვსურს ხელი შევეუწყოთ ფულის კეთებას ნებისმიერი გზით, ან წავახალისოთ ძალისმიერი დაპირისპირება. სოციალური განვითარებისა და სამართლიანობის დასამკვიდრებლად კი ჩვენ ერთგულად და დაუღალავად ვითანამშრომლებთ საქართველოსთან, დღესაც და მომავალშიც. ვთხოვთ საქართველოს ხელისუფლებას, გაგვიიღოს ეს ძალისხმევა და შეძლებისდაგვარად აგვარიდოს ხელისშემშლელი ფაქტორები, ძირითადად კი – მიძიმე, და ზოგჯერ, გადაულახავი ბიუროკრატიული სირთულეები.*

*სულ მალე იხილავთ ქართულ ხანჯლურ ცეკვას. ნახავთ, თუ რა რიგ წარმოაჩენენ ბავშვები ძალასა და ღირსების გრძნობას. ვთხოვთ, დააკვირდეთ მოცეკვავეთა სახეებს. როგორც მოგეხსენებათ, ძველ რომში, ორსახოვანი ღმრთაების – იანუსის ტაძარი ომიანობის დროს იხსნებოდა და მშვიდობიანობისას იკეტებოდა. დაე, ომი მხოლოდ ცეკვის სახით მოგვევლინოს მშვიდობის დროს,*

რათა ნამდვილმა ომმა არასოდეს შეგვაწვევტინოს ცეკვა. მოდიოთ, სამუდამოდ ჩავკეცოთ იანუხის ტაძრის კარი.

პაპის დესპანის შთამბეჭდავი და ამადლეველი გამოსვლის შემდეგ ასპარეზი საქართველოში კათოლიკე ეკლესიის საქველმოქმედო ფონდის, „საქართველოს კარიტასის“ თბილისის საბავშვო კომპლექსის აღსაზრდელებს დაეთმო. საბავშვო კომპლექსში 200 უპოვარი მოზარდი ეუფლება სწავლა-განათლებას და ხელობას. რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ თავისი წიგნების საავტორო ჰონორარიდან ბავშვთა კომპლექსს თანხა შემოსწირა მართლმადიდებლური ეკლესიის ასაგებად, რათა მოზარდები საკუთარ რელიგიურ ტრადიციებზე აღიზარდნენ. „საქართველოს კარიტასი“ ყველა გაჭირვებულ ადამიანს ეხმარება განურჩევლად მათი რელიგიური მრწამსისა თუ ეთნიკური კუთვნილებისა.

„საქართველოს კარიტასის“ აღსაზრდელებმა, რომელთა დიდი ნაწილი, სულ რაღაც ერთი წლის წინ, ქუჩაში ათენ-აღამებდა, ჯერ პაპის ჰიმნი შეასრულეს, ხოლო შემდეგ ისეთი ცეცხლოვანი ცეკვები წარმოადგინეს და ისეთი ფარიკაობა გამართეს, რომ უცხოეთის ელჩებთან ერთად ქართველი სტუმრებიც თვალმოუწონებლად შესცქეროდნენ ნორჩ მოცეკვავეებს.

მხატვრული ნაწილის დასრულების შემდეგ, ფურშეტზე, რომელიც საკმაოდ დიდხანს და თბილ ვითარებაში გაგრძელდა, ყველა სტუმარი ცდილობდა გამოეხატა თავისი აღფრთოვანება კათოლიკე ეკლესიის, მისი უპირველესი მწყემსმთავრისა და მისი დესპანისადმი. განსაკუთრებით თბილი და მეგობრული საუბარი შედგა მართლმადიდებელ მიტროპოლიტ სერგის, დეკანოზ გიორგისა და ქართველ კათოლიკე მამებს შორის. მეუფე სერგიმ გაიხსენა, თუ როგორ ეხმარებოდა მატერიალურად, ამ 15 წლის წინ, თბილისში ახლადდამკვიდრებულ დედა ტერეზას მოწყალების ორდენის დებს, რაც არცთუ უსაფრთხო იყო იმჟამად, ხოლო დეკანოზმა გიორგიმ უდიდესი სიხარული გამოხატა, რომ საქართველოში ასე განათლებული ახალგაზრდა კათოლიკე მღვდლები მსახურობენ.

გაილია დღე, გასრულდა საზეიმო შეხვედრა და ჩვეულებრივი რიგითი დღეები დაიწყო, თუმცა შეიძლება კი რიგითი დღეები უწოდო კათოლიკე მწყემსთა მიერ ქრისტიანთა სულების გადარჩენისათვის მუდმივ ზრუნვასა და მსახურებაში გატარებულ დღეებს?

**ნუგზარ ბარდაველიძე**

## **წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში**

ივნისის თვეში იმდენი სასიამოვნო წუთები გამოვიარეთ წმიდა მოციქულების პეტრესა და პავლეს თბილისის კათოლიკური ეკლესიის მრევლმა, რომ ძნელია რომელიმე მათგანი განსაკუთრებულად გამოყო.

4 ივნისს, სულთმოფენობის დღესასწაულს ჩვენი საკრებულო განსაკუთრებულად აღნიშნავს: ეკლესია ულამაზესი ყვავილებითაა მორთული, ეკლესიის გარშემო კი გაკეთებულია ოთხი საკურთხეველი, განსაკუთრებული სილამაზით გამორჩეული. საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ სრულდება რიტუალი ვარდისფენობა, „ვარდების ცვენით“, საგალობლების თანხლებით მრევლი მიჰყვება მამა ვლადიმერსა და თეთრ სამოსში გამოწყობილი ბავშვების პროცესიას. თითოეულ საკურთხეველთან აღესრულება ლოცვები, ფსალმუნების გალობა და მცირე შეჩერების შემდეგ მეორე საკურთხეველისაკენ მიემართება. პროცესია ულამაზესი სანახავია და მასში მონაწილეს საოცარი გრძნობით აღავსებს და რწმენაში განამტკიცებს.



14 ივნისს ჩვენმა საკრებულომ ყოვლადწმიდა სამების დიდღესასწაული იზეიმა. აღსანიშნავია, რომ ეს დღესასწაული განსაკუთრებული იყო, მღვდლის ხარისხში ამალღებული მამა აკაკი ჭელიძე პირველ წირვას ადავლენდა. ეკლესიაში ხალხის სიმრავლე შეიმჩნეოდა. აქ იყვნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსული მღვდლები და მონაზვნები, მამა აკაკის მშობლები, ახლობლები და მეგობრები. სიმბოლურია, რომ მამა აკაკიმ თავისი პირველი წირვა პეტრე და პავლე მოციქულთა ეკლესიაში ჩაატარა, იგი ხომ ამ ეკლესიაში აღიზარდა და, როგორც თავადვე აღნიშნა, კათოლიკური ეკლესიისადმი სიყვარული ამ ეკლესიიდან დაიწყო. ამიტომაც გასაგებია, რომ ამ დღეს ის განსაკუთრებულად დელავდა. ყველაზე ამალღებელი წუთებიც დადგა: მამა აკაკიმ აზიარა მშობლები, და, სამღვდლოება, სემინარისტები, ბავშვები, მრევლი. წირვის დასრულების შემდეგ იყო ბევრი მილოცვა. წმიდა საყდრის ელჩმა, მეუფე კლავდიო გუჯეროტიმ ამალღებელი სიტყვით მიმართა მამა აკაკის და მიულოცა პირველი წირვის აღსრულება. იყო მრავალი მილოცვა, უამრავი ყვავილი და საჩუქარი. მამა აკაკიმ აღელვებულმა მადლობა გადაუხადა ყველას. ვფიქრობ, მას არასოდეს დაავიწყდება ეს წუთები და სასიამოვნო მოგონებად დარჩება მის ცხოვრებაში.

18 ივნისს წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ეკლესიაში კათოლიკეთათვის მნიშვნელოვანი საიდუმლო – მირონცხება აღესრულება. წელს ამ საიდუმლოს ჩვენი საკრებულოდან 13 მორწმუნე შეუერთდა, მათ შორის იყვნენ სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების ადამიანები. აქაც იყო დიდი განცდები, სამახსოვრო საჩუქრები, ფოტოები...

29 ივნისს ჩვენი საკრებულო თავისი მფარველი წმიდანების პეტრესა და პავლეს დღესასწაულს აღნიშნავდა. წმიდა წირვა მეუფე ჯუზეპემ ადავლინა. ჩვენთვის ორმაგად სასიხარულოა პეტრეპავლობის დღესასწაული, ამ დღეს მოხდა ახალი საკურთხევის კურთხევა, რამაც მეტი სილამაზე და დატვირთვა შესძინა დღესასწაულს. უფლისადმი მიმართულ ლოცვებში მრევლის სხვადასხვა წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

ვამაყობ, რომ ამ ეკლესიის წარმომადგენელი ვარ, იმ ეკლესიისა, რომელიც ამ ორი დიდი მოციქულისა და წმიდანის სახელს ატარებს.

ივნისი დამთავრდა, მაგრამ ამით ჩვენი საკრებულოსათვის ზეიმები არ დამთავრებულა, წინ გველის მთელი რიგი საინტერესო ღონისძიებები: ექსკურსია ბოდბეში, ბავშვების ორ წყებად დასვენება ორპირში „არდადეგები ღმერთთან“, ცალ-ცალკე პატარა და დიდი ასაკის მინისტრანტების შეხვედრები, გუნდისა და მინისტრანტების ქალაქგარეთ გასვლა და სხვ.

მინდა, რამდენიმე სიტყვით, მრევლის სახელით, მადლიერება გამოვხატო ჩვენი ახალგაზრდა მოძღვრის მამა ვლადიმერის მიმართ.

ავადმყოფობის მიზეზით მამა ადამის პოლონეთში წასვლის შემდეგ, მისი მოვალეობის შესრულება მამა ვლადიმერს დააკისრეს. ახლოვდებოდა ქრისტიანული სამყაროს ყველაზე დიდი დღესასწაული – აღდგომა, ცოტა არ იყოს, მრევლს ეჭვი შეეპარა, შესძლებს კი ახალგაზრდა მღვდელი თავი გაართვას ამ დიდ პასუხისმგებლობას? აღდგომისათვის ხომ ბავშვების ნათლობაც იყო დაგეგმილი.

მრევლი ყველანაირად მხარს ვუჭერდით მამა ვლადიმერს, ლოცვით გავერთიანდით მის გარშემო. და აი, ზეიმის პირველივე წუთებიდანვე გაქრა ჩვენი ეჭვები და მღელვარება, მამა ვლადიმერმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა, მან ღირსეულად არასრულა თავისი მოვალეობა ღმრთისა და მრევლის წინაშე. აღდგომის დღესასწაულის შემდეგ მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ჩვენს ეკლესიაში, მრავალი დღესასწაული ვიზეიმეთ და მამა ვლადიმერმა ყოველთვის საოცარი სიძინჯე, ცოდნა გამოავლინა და ღირსეულად გაართვა თავი ყველაფერს.

ჩვენი მრევლი ქება-დიდებას უძღვნის უფალ იესოს მისი დიდი გულმოდგინებისა და სიკეთისათვის. ასევე დიდი მადლობა ჩვენს ეპისკოპოსს, ჯუზეპე პაზოტოს, რომელიც ურყევად ხელმძღვანელობს კათოლიკე ეკლესიას საქართველოში, ხოლო აქაური კათოლიკეები გადარჩენის გზისაკენ მიჰყავს.

ნადია ჩიტაძე

## სიზაბავრის იესოს უწმიდესი გულის დღესასწაული

23 ივნისს სიზაბავრის იესოს უწმიდესი გულის ეკლესიის დღესასწაული აღინიშნა. ამ დღეს მთელი მრევლი დიდი სიხარულითა და ჭკუშმარიტი რწმენით მოველოდით. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიაში რემონტი მიმდინარეობს, მაინც შევძელით წესრიგში მოგვეყვანა ეკლესია და სადღესასწაულო იერი მიგვეცა მისთვის.

დღესასწაულს მრავალი სტუმარი დაესწრო, სიზაბავრის მრევლის გარდა, გვეწვივნენ სხვა საკრებულოების მორწმუნეებიც, კამილიელი მღვდლები: მამა ნინო, მამა პავლე, მამა აკაკი და მონაზვნები, აგრეთვე მამა იეჟი, მამა არტური, თბილისიდან მამა ანდრეი, ქუთაისიდან მამა გაბრიელე და მონაზონი ანა მარია; ძალიან ღამაზი მომლოცველობა მოაწვევს ტურცხისა და ვარგავის მრევლმა, რომელშიც ტურცხის მღვდელი ანდრეა და ორი მონაზონიც მონაწილეობდა. წირვა მამა გაბრიელემ აღავლინა და უღამაზესი სიტყვებით იქადაგა: რომ “ჩვენი გული იესოს გულის მსგავსად, სავსე უნდა იყოს სითბოთი და სიყვარულით ნებისმიერი განსაცდელის უამსაც კი”...

წირვის დასასრულს მრევლმა დიდი სიყვარულით მიულოცა მამა გაბრიელეს მღვდლად კურთხევის 25 წლისთავი, ბავშვებმა კი ღამაზი ლექსები მიუძღვნეს და სიყვარულის ნიშნად ყვავილები მიართვეს.

მამა იეჟისთან აღსრულებიული ლიტანიის შემდეგ, მამა აკაკიმ და მამა ანდრეამ „იესოს გულის“ და „წმ. გასპარე ბერტონის“ ხატები გვისახსოვრეს.

სადილზე, რომელიც წმ კამილოს სახელობის საბავშვო ბაღში გაიმართა, ბავშვებმა პატარა სცენაც გაითამაშეს და კმაყოფილი სტუმრებისაგან დიდი ოვაციებიც დაიმსახურეს. ზეიმმა სოფლის კულტურის სახლში გადაინაცვლა, რომელშიც სიზაბავრის კულტურის სახლთან არსებული ახალგაზრდული ანსამბლის წევრები მონაწილეობდნენ. ზეიმი დიდხანს გაგრძელდა.

სტუმარ-მასპინძლებს დიდხანს ემსახოვრებოთ სიზაბავრაში გატარებული საზეიმო წუთები, ჩვენ მასპინძლები კი მადლობას ვწირავთ ღმერთს კიდევ ერთი ღამაზი დღისათვის.

ფიქრია მექოშვილი

## მოწოდებულთა შეხვედრა წეროვანში

„გაიარა და დაინახა საბაჟოსთან მჯდომარე ლევი აღფესი და უთხრა: გამომყევი მე. ისიც აღგა და გაჰყვა მას“ (მარკ. 2, 14). იესოს გაყოლა ნიშნავს „უარყო საკუთარი თავი“.

ამ მოწოდებას გაჰყვნენ საქართველოს სხვადასხვა კათოლიკური საკრებულოების ჭაბუკები, როდესაც წეროვანში შეიკრიბნენ. მათი მიზანი იყო, საკუთარ თავში ჩაღრმავებითა და სულიერი ვარჯიშებით უკეთ გაეცნობიერებინათ საკუთარი მოწოდება და განემტკიცებინათ იგი.

რეკოლექციებს კათოლიკური სემინარიის რექტორი მამა ზურაბ კაკაჩიშვილი ატარებდა. რეკოლექცია ეხებოდა ისეთ თემებს, როგორცაა კონაკრაცია (შესწირო

საკუთარი თავი ღმერთს), პასუხი ღმრთის მოწოდებაზე და დაინახო საკუთარი კერპები. ეს რეკოლექციები, განსაკუთრებით დაგვეხმარა საკუთარი კერპების დანახვასა და დანგრევაში, რათა ღმრთისადმი მსახურებისას არ მიგვეხედა უკან და ხელი არ შეგვეშლოდა სულიერ ცხოვრებაში.

ჩვენ ყველანი ღმერთს მადლობას ვწირავთ იმისათვის, რომ დაგვანახა საკუთარი სულიერი მოწოდება.

მადლობა მამა ზურაბს, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ გადატვირთულია, გამონახა დრო ჩვენი სულიერი ვარჯიშებისათვის. მადლობა ჩვენს ეკლესიას, რომელიც ასე ზრუნავს თავის შვილებზე და განსაკუთრებული მადლობა იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ცდილობენ უპასუხონ ღმრთის მოწოდებას.

ყველა საკრებულოე მივმართავთ თხოვნით, ილოცონ მოწოდებულთათვის, რათა საქართველოში ბევრი ქართველი კათოლიკე მღვდელი გვყავდეს.

**შოთა გიქოშვილი**

### **“ქრისტიანობა დაფარულნი”**

*წმ. იოსების პატარა ქალიშვილების წარმომადგენლების საქართველოში  
მოღვაწეობის 10 წელი*

*მოკლე ექსკურსი:*

*ვერონელი კეთილი მღვდელი დონ ბაღდო*

ომისდროინდელ ვერონაში, გეგონებოდათ, რომ ერთბაშად ამოხეტქა სულიერებამ. თითქოს ადამიანები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქრისტიანობის მადლის გადაცემაში. ჯუხუბე ბაღდო ერთ-ერთი მათგანი გახლდათ. იგი 1843 წლის 19 თებერვალს დაიბადა დაბა პუენიაგოში (ვერონას ეპარქია, იტალია). “ან კეთილი მღვდელი, ან არაფერი” – ამ დევიზისთვის, რომელიც მან ბავშვობაში აირჩია, მას არასოდეს უღალატია. “არ კმარა იყო კეთილი, სიკეთესთან ერთად საჭიროა გაბედულება” – იტყვის მოგვიანებით იგი. ყოველ დღეს იგი სიწმიდის ერთ ნაბიჯს დგამდა, თავდადებული ენერჯის წყალობით ასხამდა ხორცს თავის იდეებს. ახალმა ცხოვრებამ დონ ბაღდოს ახალი მიზნები დაანახა, ვიდრე ერთ დღესაც არ აღმოაჩინა ქალის ფასდაუდებელი როლი ღმრთაებრივი ცხოვრების საქმეში. 1882 წელს, სოციალური სინამდვილის კარგად გაცნობის შემდეგ, მან დააარსა ქრისტიანი დედების კავშირი. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა ღმრთის მხევალნი და 1888 წელს საფუძველი ჩაუყარა წმ. იოსების პატარა ქალიშვილების რელიგიურ ინსტიტუტს. თავის “მოგონებებში” იგი მუდმივად მადლობს თავის დედას. “დედის სიკვდილის შემდეგ – წერს იგი ერთგან – გადავწყვიტე რაღაც გამეკეთებინა, რაც დარჩებოდა ავადმყოფთა და დატაკთა სასიკეთოდ”.

“მონაზონი, რომელიც იესოს პატარძალია – აღნიშნავდა ბაღდო – გულით უნდა ატარებდეს სათნოებას ნეფის მოსაწონებლად და ამ სათნოებას გულიდან გარეთ უნდა ღვრიდეს”. რჩევა-დარიგებები, რასაც იგი თავის “ქალიშვილებს” უზიარებდა, სიწმიდისაკენ უკვალავდა მათ გზას. მისი შეგონებები დღესაც მათი საქმიანობის გზამკვლევაა: “შეინარჩუნეთ სულის წმიდა თავისუფლება და გულის სიმშვიდე თვით განსაცდელეებში... თვალები მაღლა შემართეთ, ნაკლებად მიენდეთ საკუთარ თავს, მეტადრე ღმერთში იქონიეთ ნდობა და იყავით მხიარულნი. შეინარჩუნეთ გულის სიხალისე ღმრთის მზერით, რომელიც თქვენ გხედავთ, შეგეწევთ და უსახღვროდ უყვარხართ”.

დონ ბაღდოს ქარიზმამ და მისმა მადლმა საქართველომდეც ჩამოაღწია. ეს, ალბათ, უკვე ილო მის გეგმაში, როდესაც იგი თავის მონაზონებს *რონკო ალ ადიჯეს* საზღვრებიდან შორის აგზავნიდა, ამით ის აძლევდა *მანდატს*, რაც მონაზონებს აახლოვებდა მოყვასებთან და, მეტწილად, გაჭირვებულებთან.

## **მისია: საქართველო**

1996 წლის 5 მაისი დაუვიწყარ დღედ დარჩება სამი მონაზონის ცხოვრებაში: და ლორედანა, და ანა მარია, და ემალიზა – ისინი სწორედ ამ დღეს ჩამოვიდნენ საქართველოში თავიანთი სულიერების, სათნოებისა და სიყვარულის უცხო მიწაზე დასადგურებლად, მათ თან ახლდა ინსტიტუტის მთავარი სუპერიორა (იგივე წინამძღვარი) დედა ლიზა რებონატო. მრევლს დღესაც კარგად ახსოვს წირვა, რომელიც ქუთაისის კათოლიკურ სამლოცველოში აღავლინა მამა ჯუზეპე პაზოტომ, სადაც მათ თავიანთი სახლის გასაღები გადასცა, ერთიანი ოჯახის დაბადებისა და გამოცხადებული ნდობის ნიშნად. ეს მართლაც რომ ამადელვებელი წუთები გახლდათ!

ჩამოსვლის დღიდანვე ჩადგნენ ისინი საკრებულოსთან თანამშრომლობაში, ლიტურგიულ, კატეხისტურ, საქველმოქმედო მსახურებაში ჩართვით... და რაც მთავარია, ქართული ენის შესწავლით, ურომლისოდაც, როგორც ისინი მიიჩნევდნენ, ფონს ვერ გავიდოდნენ.

საქართველოს რეალობის გაცნობამ, ეპისკოპოსისთვის პასტორალურ საქმიანობაში დახმარების საჭიროებამ, ინსტიტუტის ხელმძღვანელობაში ახალი მონაზონების გამოგზავნის სურვილი დაბადა. სწორედ ამ მიზნით ინსტიტუტმა 1999 წელს თბილისში გამოგზავნა ორი მონაზონი: და სილვია როზა და და კარლინა.

მათ რიგებს მოგვიანებით შეუერთდა კენიის მკვიდრი, ასევე წმ. იოსების პატარა ქალიშვილების ინსტიტუტის წევრი ჟოზეფინა ნოკი. ფართოა და ფასდაუდებელი ყოველი მათგანის პასტორალურ მოღვაწეობა: “კარიტასის” საქმიანობის მართვა, მქარგველ ქალთა ჯგუფის ხელმძღვანელობა, საზოგადოებაში სიცოცხლის კულტურის გამავრცელებელი და ხელშემწყობნი, ლიტურგიაში და საკრებულოს ცხოვრებაში მსახურება, ახალგაზრდებთან მუშაობა, სულიერი თანადგომა უკიდურესად გაჭირვებულებთან და მრავალი სხვა...

ამ ათი წლის განმავლობაში საქართველოში კათოლიკე ეკლესიის არცერთი ღირშესანიშნავი დღე არ მომხდარა მათი აქტიური მონაწილეობის გარეშე. სიყვარულის საზღვრები უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ხალხთან პირდაპირი კონტაქტი მათ კიდევ უფრო მეტ ფრთებს ასხამდათ სიკეთის კეთებაში. თავმდაბლობით შესრულებული სიკეთე წმ. იოსების პატარა ქალიშვილების მოქმედების უმთავრესი ნიშანია. ისინი ჭეშმარიტად “ქრისტეში დაფარულნი” არიან.

წმინდა იოსების პატარა ქალიშვილების ინსტიტუტი ნეტარ დონ ბაღდოს მიერ გაკვალულ გზას თავმდაბლობით და ერთგულებით მიუყვება მსოფლიოს მრავალ კუთხეში, მათ შორის: ბრაზილიაში, რუანდაში, კენიაში, საქართველოში... ასევე ვრცელია მათი საქმიანობის ასპარეზი, გამორჩეულად კი ისინი პატარა თაობათა აღზრდაზე ზრუნავენ, ბაგა-ბაღებში მოღვაწეობით, სკოლებში მოსწავლე-ახალგაზრდებთან აღმზრდელობითი კუთხით.

მათ ასე მიმართა იოანე პავლე II-მ: “თქვენი უმთავრესი საქმე ეკლესიაში ისაა, რასაც თავად წარმოადგენთ: ანთებული სინათლე, რათა სხვებს აჩვენოთ სასუფეველის გზა”.

გუსურვით წმ. იოსების პატარა ქალიშვილებს, რომ ყოველთვის ერთგულნი პატარბაღნი ყოფილიყვნენ თავიანთი ნეფისა და მოყვასთა მსახურებისა.

**ლალი ჩარკვიანი**  
ქუთაისი

**მომლოცველობა წმ. ნინოს საფლავზე**

1 ივლისს, წმ. მოციქულების პეტრესა და პავლეს ეკლესიის მრევლის ერთი ნაწილი გავემგზავრეთ სოფ. ბოდბეში წმ. ნინოს მონასტრის, საფლავისა და ნინოს წყაროს მოსალოცად.

გასვლისთანავე, საყოველთაო ღოცების შემდეგ, ვილოცეთ სავარდით, შემდეგ კი მღუმარებაში აღვასრულეთ საკუთარი ინდივიდუალური ღოცვები წმიდა ნინოსადმი.

ავტობუსში საკმაოდ ბევრი ბავშვი იყო, ამიტომ, წმიდა ნინოს ცხოვრების გასაცნობად, მამა ვალდიმერმა წავგიკითხა ბროშურა წმ. ნინოსა და ბოდბის მონასტერზე. შემდეგ კი ყველამ დავათვალიერეთ სამენოვანი ლამაზად ილუსტრირებული ბროშურა.

გზა ისე სწრაფად გაილია, ვერც კი გავიგეთ. ბოდბეში თავდაპირველად მონასტერი დავათვალიერეთ, სანთლები დავანთეთ და მუხლი მოვიდრიკეთ წმიდანის საფლავზე, შემდეგ კი წმ. ნინოს წყაროსაკენ დავეშვიტ, რომელიც ღრმა ხეობაში და ხშირ ტყეშია ჩაკარგული. წყაროსთან უამრავი მომლოცველი დაგვხვდა და ამიტომ დიდიხანს მოგვიწია „წყაროში გასაბანად“ რიგში დგომამ. წინასწარ გავეცანით რიტუალის შესასრულებლად საჭირო წესებს და ერთმა ჯგუფმა განბანვაც მოვახერხეთ. ალბათ, ამიტომ, საკმაოდ გრძელი აღმართი, რომელიც უკან უნდა გაგვევლო, უკვე ისე ძნელი აღარ გვეჩვენებოდა, სულიერად ამალღებულებმა იოლად დაგძლიეთ ის.

ერთ ლამაზ ადგილას მამა ვალდიმერმა ავტობუსი გააჩერა და წირვისათვის მომზადება გვთხოვა, თვითონ, ყოველმხრივ მომზადებულმა, ანაფორა გადაიცვა და დაიწყო წმიდა წირვა. მიუხედავად იმისა, რომ დაღლილები ვიყავით და გვშიოდა კიდევ, ამ ისტორიულ ადგილზე, ღია ცის ქვეშ ჩატარებულმა წირვამ და ზიარებამ ჩვენში ისეთი სულიერი აღმაფრენა გამოიწვია, რომ სხვაზე აღარაფერზე ვფიქრობდით.

წირვის შემდეგ ასევე საზეიმო იყო ჩვენი ტრაპეზიც. სახლებში დაბრუნება აღარ გვინდოდა.

უკანა გზაზე ისევ სავარდუ, ღოცვები... და გულითადი დამშვიდობება.

ნადია ჩიტაძე

მკითხველები გავწერენ

## ერთად ვაკეთოთ ქრისტიანული საქმეები

ივნისის ბოლოს ბათუმში საქველმოქმედო ფონდმა „პარალელმა“ საქველმოქმედო კონცერტი გამართა. შემოსული თანხა აჭარის მთიანეთში მცხოვრებ 100 უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს მოხმარდა. მოწვეულმა სტუმრებმა მეტად ამალღევებელი სიტყვები წარმოთქვეს. ძალიან ბევრი ზარი დაირეკა, დიდძალი თანხა შემოიწირა და, დარწმუნებული ვარ, ეს ასი ოჯახი დიდი ხნით მოითქვამს სულს. ფრიად სასიამოვნო ფაქტია, რომ აქციას ჩვენი მეზობელი ქვეყნის – თურქეთის ელჩიც უჭერდა მხარს.

ღმერთი იყოს ყველა ქრისტიანი ქართველის და სრულიად საქართველოს მფარველი!

ელენე ზოიძე  
ბათუმი

ვისწავლოთ ერთმანეთის სიყვარული

ძვირფასო რედაქცია,

სისტემურად ვკითხულობ თქვენს ჟურნალს, რომელიც ძალიან მომწონს.

18 წელია მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი ვარ, 37 წლის ასაკში ეს არაა პატარა მონაკვეთი. ამ წლების განმავლობაში ახლოს არ ვიცნობდი კათოლიკე ეკლესიის მსახურთ. მათი გაცნობის საშუალება ექვსიოდე წლის წინ მომეცა კამილიელთა ორდენის მღვდელმსახურთა სახით. გამაკვირვა მათმა თავდაუზოგავმა შრომამ, სხვათათვის გაწეულმა ღვაწლმა, რომელსაც უშურველად გასცემდნენ განურჩევლად ერისა, სარწმუნოებისა, სქესისა. მათგან არასოდეს გამიგია, რომ საჭირო იყო ვყოფილიყავი მათი ეკლესიის წევრი. ამ ათიოდე წლის განმავლობაში, რაც ისინი საქართველოში მოღვაწეობენ, მათგან დახმარება, თანადგომა და უფლის დიდი მადლი მიიღო ათასობით ადამიანმა. არ ვიცი, რატომ არის მავანთათვის მიუღებელი, რომ არსებობს პოლიკლინიკა „კაცთა მაცხოვარი“, ან რატომ არის მიუღებელი „კამილიელთა ოჯახი“, სადაც ათობით ინვალიდი, საზოგადოებისაგან გარიყული, ბავშვი თუ მოზრდილი, ქრისტიანულ სიყვარულსა და სიბოძის პოულობს. უნდა ნახოთ აქაური ბავშვების გაციისკროვნებული სახეები, რომლებიც შიშით არარ მოელიან ხვალინდელ დღეს. მათ სიმშვიდეს კი კამილიელი ძმა რობერტო კუკულკა იცავს და ელოლიავება.

რამდენი უძილო ღამე, რამდენი ტკივილი გადაუტანიათ მამა ნინოს, მამა პავლეს, მონაზვნებს: კორინას, ელსის, მარიას (რომელიც ღმერთმა მიიხმო თავის საუფლოში), რემიჯიას. არ შეიძლება ამის დაუნახაობა! მიყვარს ისინი და ღმერთს მადლობას ვწირავ, მათი გაცნობის შესაძლებლობა რომ მომცა. მათგან ძალიან ბერი რამის სწავლა შეიძლება: პატიებისა, უანგაროდ მსახურებისა, სიყვარულისა, რწმენისა, სიმტკიცისა...

**ხათუნა ტაბატაძე**

## **ღვთიებოძებული ნიჭის ადამიანები**

ღმერთი სიყვარულია და ამქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანია, გიყვარდეს მოყვასი, პატივი სცე და ემსახურო მას. ამ შეჭირვებულ წუთისოფელში დიდი მადლია, გვერდით დაუდგე ავადმყოფს, დარიბს, შეჭირვებულს; ღმერთისაგან ბოძებული ნიჭია, დაეხმარო ადამიანებს სულიერად, როდესაც მისი განსაცდელი შენი განსაცდელია.

ჩვენს ქალაქში მოქმედებს კათოლიკური ეკლესია, რომელიც მთელი დასავლეთ საქართველოს გაჭირვებულ ადამიანთა დამხმარე და თანამდგომია, ისინი ხალხს არა მარტო სულიერ, არამედ მატერიალურ დახმარებასაც უწევენ. აქ მოქმედებს სამედიცინო ამბულატორია, სადაც მუშაობენ თავისი საქმის პროფესიონალი სპეციალისტები: ექიმი მანანა იობიძე, ფარმაცევტი ეთერ ჯანელიძე, მენეჯერი ლიანა ზამბახიძე. ისინი უანგაროდ ემსახურებიან ავადმყოფებს და წამლებსაც უფასოდ აძლევენ. იქვეა თვალის კლინიკაც, სადაც თვალის ექიმი მაგდა იაშვილი ზრუნავს ავადმყოფებზე, ჯონი გელენიძე კი ექიმის დავალებით სათვალეებს ამზადებს. ეს ყველაფერი კათოლიკე მღვდლებისა და მონაზვნების დამსახურებაა. საჭიროების შემთხვევაში, ექიმი და ექთანის სახლში აკითხავს ავადმყოფს და ყოველგვარ სამედიცინო დახმარებას სთავაზობს. ასე იყო ჩემი მეუღლის შემთხვევაშიც, რომელსაც სახსრების დაავადების გამო თავად არ შეეძლო ექმითან წასვლა, ჩვენთან დადიოდა მედიცინის და ნინო სულამანიძე-ხუჯაძე და გადასხმებს უკეთებდა. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო აგრეთვე ნანა მიზანდარიც, რომელიც მზრუნველობას არ გვაკლებდა.

**ჟუჟუნა მასკალოვა**  
ქუთაისი

სულიერება

## დანატოვარი

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მამა პავლემ წერილი გადმოძეა და მისი ქართულად თარგმნა მთხოვა. თხოვნა სიამოვნებით შევეუსრულე, რადგანაც სტატია ძალიან მომეწონა. გავიდა წლები და შემდეგ ეს წერილი აღარც კი გამხსენებია და სულ ახლახან შემთხვევით გადავაწყდი ჩემს ქაღალდებში. მაგრამ, როდესაც გამახსენდა, რომ 21 ივლისს მამა პავლე შტეპანეის ვარდაცვალებიდან 7 წელი შესრულდა, მივხვდი, ეს შემთხვევითობა არ იყო: ღმერთს სურდა, კიდევ ერთხელ შეეხსენებინა ჩვენთვის კამილიელთა საყვარელი შვილი, რომელმაც თავისი უანგარო მსახურებით სამუდამოდ დაამახსოვრა თავი ვარშემომყოფთ.

მამა პავლემ თავისი სიცოცხლე იესოს მიანდო და ჩვენც ამასვე მოგვიწოდებს, მივდიოთ მის შეგონებებს!

14 ივლისს წმიდა კამილო დე ლელისის, კამილიელთა ორდენის დამაარსებლის, ხსენების დღეა.

ამ წერილის დაბეჭდვით პატივს მივაგებთ წმიდა კამილოსა და მამა პავლეს ხსოვნას.

მამა აკაკი ჭელიძე

“რისთვის დაეხოხავ, თუკი მხრებზე ფრთები მასხია?”

მოგზაურო,

შენ მე არ მიცნობ, სამაგიეროდ, მე გიცნობ კარგად. დიდხანს ვილოცე შენთვის, ვიდრე ამ ბარათს საფოსტო ყუთში ჩავაგდებდი. ჩემს ყურს სწვდებოდა შენი ჩურჩული, მოშრიალე ღამეულ ეჭვთა მარტოობაში. ტკივილისას, ვეხმარებოდი შენს სასთუმალთან მოდარაჯე მზრუნველ ღმერთს შენი ცრემლების შეგროვებაში, რათა არცერთი მათგანი არ მისცემოდა დავიწყებას უკუნისამდე. არადა, რამდენ ტკივილს დაუდია ბინა შენს ჭერქვეშ! სიძნელეები სამსახურში, ჯერ კიდევ ჩაუბარებელი გამოცდები, იმედგაცრუება ოჯახში, მონატრება, მარტოობა... ამდენი ტკივილი. სიხარულში ვიჭერდი შენს ღიმილს, როგორც პეპლებს, რათა გამომეშვა ისინი ზამთარში მოგონებათა თბილ მდელოებზე, რადგან ასე იშვიათად გვესტუმრებიან ხოლმე...

არ მიცნობ მაგრამ... ხომ შეგიძლია მოუსმინო სიტყვებს, რომლებიც მხოლოდ აჩრდილია იმისა, რის შესახებაც მსურს შენ მოგიტხრო. “აჩრდილია”, რადგანაც ასე რთულია სიტყვებში დაიჭირო ჩამავალი მზის მხურვალეობა, როდესაც მთელი ქვეყანა, სულ რაღაც რამოდენიმე წამით გავარდისფრდება მათთვისაც კი, რომელთაც არა სჩვევიათ ყოველდღიურად ვარდისფერი სათვალეების ტარება.

როგორ ადვწერო მაისის დილით ერთი წუთით ატირებული წვიმის გემო?

როგორ მოვუხმო მოგონებებში საზეიმო ნაძვის ხის სუნს, თუმც კი ყოველდღიურობის მორევში ვყვინთავთ, და განწყობაც სულაც არ ჰგავს ახალი წლისას?

სიტყვები მხოლოდ აჩრდილია... მე კი მსურს გიამბო იესოზე.

სიტყვები მხოლოდ აჩრდილია, მაგრამ შენ, მხოლოდ შენ, მოგზაურო, ძაღვის სიცოცხლე შთაბერო მათ, ახალი სიცოცხლე. შენი სიცოცხლე. ისევე, როგორც ანგელოზის ხარებით გაოგნებულმა გოგონამ ნაზარეთიდან, ნაზარეთიდან, რომელიც ორი ათასი წლის წინათ სულ სხვა იყო ვიდრე დღეს არის, მაგრამ ხალხი კი ცხოვრობდა იქ ჩვენი მსგავსი, შენი და ჩემი. უდიდესი ხელოვნებაა უსმინო ისე, რომ მოისმინო მოსაუბრის მიერ ნათქვამი. ისე გატაცებით ისმენდა იგი, რომ მასში თავად სიტყვა ხორციელ იქმნა. გასაოცარია, რომ სწორედ მოსმენა გახდა ახალი დასაბამის დასაბამი.

მოგზაურო, ესაა შენი მოსმენის უამი. უამი, რომელსაც ძალუძს შეგიძღვეს შენ ახალ, გაცილებით უფრო მშვენიერ, სავსე, ნამდვილ ცხოვრებაში.

ედით შტაინი – დღეისათვის შერაცხულია იგი წმიდანად, წარმოშობით ებრაელი. როგორც ზრდასმულმა პიროვნებამ მან გადაწყვიტა სრულად მიეძღვნა თვისი სიცოცხლე იესოსათვის. მოწოდების ხმის მიყოლით გახდა კარმელის მონაზონი.

დედამ, როდესაც მიაცილებდა მას მონასტრის კარიბჭესთან, სასოწარკვეთილმა უკანაკნელ ცდასდა მიმართა, რათა ქალიშვილს თავის გიჟურ ჩანაფიქრზე ხელი აეღო. ეკითხებოდა:

- განა არ შეიძლება ემსახურო ღმერთს მოსეს რჯულში?
- შეიძლება – მიუგო წყნარად მომავალმა და ბენედიქტამ.
- და განა არაა მშვენიერი ჩვენი ადამი, ლოცვები ან სინაგოგა?
- მშვენიერია.
- მაშ რაღად გვტოვებ?! – ქვითინით შესძახა დედამ.

– ხედავ, დედიკო, ყველაფერი, რაც თქვი, სწორია და მართალი ხარ შენ სრულებით. მშვენიერია ჩვენი რჯული, ღმრთის სადიდებლად მონიჭებული. მშვენიერია სინაგოგა და რაბინთა მოძღვრებანი. ეს ყოველივე მშვენიერია, მაგრამ მე ვპოვე ის, რაც ყოველივეზე მშვენიერია. როდესაც აღმოაჩენ ყოვლადმშვენიერს, ვეღარა გყოფნის ის, რაც ძლივს თუ იმსახურებს მშვენიერის ეპითეტს.

მიატოვო მშვენიერი, რათა განიცადო ყოვლადმშვენიერი.

ხედები რისი თქმა მწადია შენთვის? მიატოვო, რათა მოიპოვო. და ეს არა იმის გამო, რომ შენს ცხოვრებას თითქოს აკლდა სრულად აზრი ან მშვენიერება, არა! არამედ, რათა უფრო მაღლა ააღწიო. რათა გაარღვიო ახალი, აქამდე დაფარული ჰორიზონტები. ეს არის გამოწვევა. ეს არის მოწვევა.

იყო ერთი მდიდარი კაცი. მას ამქვეყნად უკვე ყოველივე ენახა და გამოეცადა. იცოდა გემო რჩეულ-რჩეული კერძებით გაძღომისა და მყიფე კმაყოფილება, ფლობისაგან მონიჭებული. იცოდა სიმწარე მეგობრის დალატისა და უმიზნო ცხოვრებით ქანცვაწყვეტის გრძნობა. ბოლოს იპოვა რაღაც, რაც იქცა მისთვის ჭეშმარიტ გატაცებად – მან დაიწყო მარგალიტების შეგროვება. რაღა მარგალიტო მაინც და მაინც, იკითხავ. ალბათ იმიტომ, რომ მარგალიტი იბადება მოლუსკების ტკივილისა და ტანჯვისაგან, თუმც იშვიათად თუ ახსენდებათ ამის შესახებ ადამიანებს მათი მშვენიერების ჭვრეტისას. და როგორა ჰგავს ეს ცხოვრებას ჩვენი მდიდრისას: ხალხი შენატრის, ის კი უბრალოდ იტანჯება. და ვიდრე ჩვენ ამ მსჯელობებში ცოტა შევეყოვნდით, მდიდარმა უკვე მოასწრო და შეაგროვა პატიოსანი თვალთა გორები. იქნებ ვიდაცას დაექადნა კიდევ, მე მაქვსო მსოფლიოში უდიდესი კოლექცია, მაგრამ არა მას. გაიფიქრა: “რაა სიმრავლე?” და ინატრა მარგალიტი უძვირფასესი. დაუწყო ძებნა. დაუწყო და იმწამსვე ჰპოვა. თითქოსდა არა მდიდარს ეძიოს მარგალიტი, მარგალიტს – იგი. მის მოლოდინს გადააჭარბა. იმაზე მეტად მშვენიერი იყო ვიდრე ძალგის წარმოიდგინო. გამყიდველმა დაადო ფასი, ძალზე მაღალი. მრავალნი მოდიოდნენ და ბრუნდებოდნენ ხელცარიელნი, თუმც კი თითუელს გააჩნდა თანხა მის შესაძენად. ყოველ ჯიბეს სწვდებოდა იგი. დიას, ყოველს, შენც შეძლებდი მის შეძენას. გაინტერესებს მისი ფასი? ყოველივე, რაც გაგაჩნია. ყოველივე, რაც გაგაჩნია ამ ყველაზე მშვენიერისთვის. გასაოცარი გარიგებაა. ღარიბისთვის იოლია მისი მიღება. უფრო ძნელია მდიდრისათვის, ამიტომაცაა, რომ უიმედოდ ცდილობენ თავიანთი სიმდიდრის ტვირთით გაძვრნენ გადაწყვეტილების ნემსის ყუნწში: “კი მაგრამ, ღირს კი?” ჩვენმა გმირმა გადაწყვიტა, შენ კი რას იზამ? მან დაიმკვიდრა განძი, რომელსაც მას ვერავინ შეეცილება. შენ, შენ რას იზამ?

დაფიქრდი, ეს ძვირფასი მარგალიტი, რომელსაც ნატრობ, ეძებ უკვე დიდი ხანია, არის შენი და იესოს ერთად ცხოვრება. არაფერია ამ ქვეყანაზე უფრო



ძვირფასი ან მშვენიერი, ვიდრე ცხოვრება იესოსთან. როცა მოიწვევ მას შენს ჭერქვეშ, მოვა მაშინვე, რადგან როგორც თავადვე ამბობს: “აჰა, ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ. თუ მოისმენს ვინმე ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან და ვივანშმებ მასთან ერთად, და ის კი – ჩემთან” (გამოცხ. 3, 20).

როდესაც მოიწვევ მას შენს ცხოვრებაში, უთუოდ მოვა, რამეთუ თავად დაგვპირდა ამას. მოვა მიუხედავად შენი ცოდვისა, და თვით მის გამოც, რამეთუ ძე კაცისა, როგორც ამბობს იესო საკუთარ თავზე, არ მოსულა შენს განსასჯელად ცოდვის გამო, არამედ შენს დასახსნელად ცოდვისაგან. იესოს მომტკეველ სიყვარულთან შეხვედრაში შენი ცოდვები, ისინიც კი, ძოწეულივით გაწითლებულნი, თოვლზე მეტად გათეთრდებიან, მოგეტკევება და იქნები თავისუფალი. იესომ განვლო შემადრწუნებელი აგონია და მოკვდა სასტიკი სიკვდილით, რათა ეხსენი შენს ცოდვათაგან. რათა თავისკენ მიეზიდე და მოედგნა შენთვის სიცოცხლე. და არა რაღაც საცოდავი არსებობა, არამედ “სიცოცხლე უხვად” (იოან. 10, 10), მშვენიერი, ზეციური სიცოცხლე, რომელსაც თავის დასაწყისი აქვს აქ, უკვე ამ ქვეყანაზე. მრავალი ზერელედ უყურებს მის სიყვარულს. შთანქმულნი შრომით, სახლის ლაგებით, ამხანაგებთან მასლაათით, ბავშვთა დატუქსვით, ანდა უამრავი სხვა საქმეებით ვივიწყებთ იესოს.

განა არაა ძალზე ცოტა, თუკი უფალთან შენს შეხვედრებს შემოსაზღვრავ საკვირაო წირვით ტაძარში? შეხედე, კვირა ხომ შედგება ას სამოცდარვა საათისგან, შენ კი ერთი საათით გსურს გაუსწორო ანგარიში უფალს ღმერთს შენსას? შეადარე ეს საათი და ტელევიზორთან გატარებული საღამოები. ჰო, მე მგონი რომ საკმარისად შთამბეჭდავი სურათი ჩნდება.

ეხლა შეხედე რამდენი საქმე არ გამოგდის: არასოდეს არ კმარა ფული, ნაბიჯს გადადგამ, და ის თურმე ყოფილა მცდარი, ახლობლებთანაც მუდამ გიჭირს საერთო ენის გამონახვა. საღმრთო წერილი გვიმარტავს, თუ რად ხდება ასე:

“თუკი უფალი არ ააშენებს სახლს,  
ამოდ შრომობენ მისი მშენებლები.  
ამოდ დგებით მზის ამოსვლამდე,  
აგვიანებთ მოსვენებას,  
პურსა ჭამთ ჭმუნვით მოპოვებულს,  
ამდენს იგი ძილშიც კი აძლევს თავის მოყვარულთ” (ფს. 126/127, 1-2).

ღმერთს სურს იზრუნოს შენზე. სურს გადაწყვიტოს შენი პრობლემა, აღმოგიჩინოს სიყვარული კონკრეტული დახმარების (სულიერის თუ ხორციელის) ნიშნის მიერ. ღმერთი იცნობს ადამიანთა საჭიროებებს. ამის შესახებ შეახსენებს მოსე რჩეულ ერს:

“გახსოვდეს მთელი ის გზა, რომლითაც მოჰყავდი ეს ორმოცი წელი უფალს უდაბნოში. (...) გაჭმევდა მანანას (...) აგერ ორმოცი წელია შესამოსელი არ დაგძველებია ტანზე და ფეხები არ დაგსიებია. (...)

უფალს, შენს ღმერთს მიჰყავხარ მაღლიან ქვეყანაში, ნაკადულთა და წყაროთა ქვეყანაში, სადაც წყალი უხვად მოედინება მთად და ბარად, ხორბლისა და ქერის, ყურძნის, ლელვისა და ბროწეულის ქვეყანაში – ზეთისხილისა და თაფლის ქვეყანაში – ქვეყანაში სადაც არაფერი არ მოგაკლდება” (მეორე რჯ. 8. 3, შმდ.).

ყოველივე ამის მოძღვნა სურს კეთილ ღმერთს შენთვის, მოგზაურო, თუ შენც ისურვებ. ნუ იქნები ისე ზარმაცი, რომ არ მიიღო მისგან კურთხევა.

ნუ შეგაშინებს თუ განგდევნიან იმ პატარა, ვიწრო გატკეპნილ გზიდან, რომელშიც თავად ჩაძვერი.

მერწმუნე, რადგან მე ამას უკვე განვიცდი საკუთარ თავზე: თუ კი სთხოვ იესოს, რომ შემოვიდეს შენს ცხოვრებაში და დაგარწმუნოს, რომ იგი კვლავაც იგივე ღმერთია, რომელიც ბიბლიურ ეპოქაში მოქმედებდა სასწაულებით, მაშინ

შენი ცხოვრების სხვადასხვა მხარე შეცვლას დაიწყებს. წმიდაგოფს შენ, გაგაბედნიერებს.

დღეს გმართებს ნაბიჯის გადადგმა. შეგიძლია უპასუხო “ჰო” ან “არა”. გადაწყვეტილება მხოლოდ შენზეა დამოკიდებული.

იქნებ ფიქრობ: “გამბედაობა არ გამაჩნია. არ შემიძლია. არ მეყოფა ძალი იმისათვის, რომ იესოს ვუერთგულო, რა საჭიროა თვალთმაქცობა.”

უფალი არ ელის რომ შენს თავში იპოვო ძალი. იგი თავად უზრუნველგოფს საჭირო ძალით, ნამდვილად მნიშვნელოვანია გაითვითცნობიერო, რომ უძლური ხარ და საჭიროებ სრულად მინდობას ღმერთზე, ღმერთზე რომელსაც შესწევს ძალი. იგი მოელის შენს ნაბიჯს. მისცემ თუ არა შესაძლებლობას, რათა გაქციოს სრულიად ახალ ადამიანად. ღმერთს ვევედრები, რათა დასთანხმდე.

უძვირფასესო უფალო იესო, შენს წინაშე ვდგები და შეგთხოვ, რათა მიანიჭო ჩემს მეგობარს ძალი სწორი ნაბიჯის გადასადგამად, უფალო, დაეხმარე, რათა მთლიანად შენ მოგენდოს. ქმენ რათა არ წაბორძიკდეს. შეგთხოვ, მოაშორე შიშის გრძობა, რომელიც, შეიძლება, აბრკოლებს მას, მიეცე გამბედაობა, რათა გამოგყვეს შენ.

და ეხლა, თუკი გადაწყვიტე, მიანდო შენი უძვირფასესი სიცოცხლე იესოს, შეგიძლია ილოცო ჩემთან ერთად ამ სიტყვებით ან სხვა ლოცვით, რომელიც უფრო მართებულად მოგეჩვენება:

უფალო იესო, ეხლა შენს ხელთ მოგიძღვნი მთელს ჩემს სიცოცხლეს. მე შენ გეკუთვნი და მწადია ვიყო შენი უკუნისამდე. გთხოვ, გადმოხედე ჩემს გულს, რათა მიჩვენო ის ყველაფერი, რაც შენ გამწუხრებს მასში, უფალო. მწადია გარდავქმნა ჩემი ცხოვრება იმ ძალით, რომელსაც შენ მომმადლი.

მაკურთხე, რათა მივიღო შენში ცხოვრების მთელი სიუხვე. შემოაბიჯე ჩემს ყოველ სიძნელეში, იმედსა და ჩანაფიქრში. განკურნე ცოდვის წყველისაგან ჩემი წარსული. დამიფარე ყოველგვარი ბოროტისაგან აწ და მარადის.

შენ ხარ იესო, ჩემი უფალი. ამენ.

**სურვიციუსი**

**(კამილიელი მამა პავლე შჩეპანეკი)**

რომი

24.01.1996

## **სოციალური პრობლემები**

### **“სიცოცხლის ფესტივალი” – სულიერების ზეიმი**

უკვე ოთხი წელია, რაც ქუთაისში არსებობს საქველმოქმედო არასამთავრობო ორგანიზაცია “INER Georgia – წყვილისა და სიცოცხლის სამსახურში” (ხელმძღვანელი: ლალი ჩარკვიანი, კოორდინატორი: ნ. ნებიერიძე). მისი დაარსების მთავარი მიზანი იყო, დახმარებოდა ახალგაზრდა წყვილებს ახალი სიცოცხლის სიხარულით მიღებაში და თანადგომა აღმოეჩინა სოციალურად დაუცველი, ეკონომიურად ხელმოკლე ოჯახებისათვის, მრავალშვილიანი დედებისათვის.

მართალია, INER Georgia-ს ჯერჯერობით არა აქვს ხანგრძლივი ისტორია, მაგრამ ქალაქში უკვე ცნობილია თავისი მრავალფეროვანი საქველმოქმედო საქმიანობით. ორგანიზაციას ჰყავს რამდენიმე თანამშრომელი, მათ შორის ექიმი-გინეკოლოგი, ფსიქოლოგი, იურისტები. ისინი ყოველთვის გულისხმიერად მასპინძლობენ მთხოვნელებს, რომელთაც ცხოვრებისეულ პრობლემებთან დაკავშირებით სჭირდებათ სპეციალისტთა კონსულტაციები, მკურნალობა ან კონკრეტული მატერიალური დახმარება. ვინ მოთვლის, რამდენ ადამიანს დაუამეს

მათ სულიერი ტკივილი, რამდენ შეჭირვებულს აღმოუჩინეს შემწეობა და ჩაუსახეს ცხოვრების იმედი, რამდენ ახალგაზრდა წყვილს გაუძლიერეს ახალი სიცოცხლის გაჩენის სურვილი.

რამდენადაც INER Georgia-ს საქველმოქმედო დევიზია “გადავარჩინოთ სიცოცხლე – ჩვენი მომავალი”, ამდენად ორგანიზაციის ხელმძღვანელობას კარგად აქვს გათავისებული, რომ ყველა ჩვენგანმა უნდა იზრუნოს ბავშვზე არა მხოლოდ მისი ჩასახვა-დაბადებისას, არამედ შემდგომშიც – განსაკუთრებით პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის სამუშაო პროგრამის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი გახლავთ მჭიდრო კავშირი სკოლის ასაკის ბავშვებთან მათი სულიერების ამაღლებისა და შემოქმედებითი უნარის განსავითარებლად.

საგულისხმოა, რომ INER Georgia-ს ამ კეთილშობილური მიზნის განსახორციელებლად ჩვენი ქალაქის სინამდვილეში ახალ საინტერესო ინიციატივას დაუდო სათავე. 2004 და 2005 წლების გაზაფხულზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეეთათვის ჩაატარა შემოქმედებითი კონკურსები ლიტერატურაში, მუსიკასა და მხატვრობაში თემაზე “სიცოცხლე საჩუქარია – მიიღე.” კონკურსებმა ბევრი შემოქმედებითი ბავშვი გამოავლინა. ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ როგორც ცალკეული მოსწავლეები, ისე გამარჯვებულ მოსწავლეთა სკოლები.

წელს INER Georgia-ს განსხვავებული ინიციატივით გამოვიდა – ჩაატარა “სიცოცხლის ფესტივალი”, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მოიწვია მხოლოდ სპეციალური სკოლები: ქუთაისის კარიტასის ბავშვთა ცენტრი (*დირექტორი ლ. ბეგიშვილი*), ეწრის სკოლა-ინტერნატი (*დირექტორი კ. გოთოშია*), გუმათის II საჯარო სკოლა-პანსიონი (*დირექტორი თ. ტყაბლაძე*), სამტრედიის სპეცსკოლა-არასრულწლოვან დამნაშავე ბავშვებისთვის (*დირექტორი გ. მეიშვილი*), ბროწეულას სკოლა-ინტერნატი (*დირექტორი დ. წერეთელი*), ქუთაისის სარეაბილიტაციო ცენტრი “იმედი”, (*დირექტორი მ. კუხიანიძე*), ქუთაისის ყრუმუნჯთა სკოლა (*დირექტორი გ. ნუცუბიძე*), მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრი კომპლექსი “გონი” და ინვალიდთა სკოლა “ტონუსი” (*დირექტორი დ. ჩხიროძე*).

მართლაც რომ სიცოცხლის ზეიმი იყო ეს დღე – 2006 წლის 14 ივნისი – ფესტივალის მონაწილე ბავშვებისათვის, იმათთვის, რომლებიც ასეთ სპეციალურ სკოლებში მოახვედრა სოციალურმა ყოფამ, ავადმყოფობამ თუ სხვა მიზეზებმა.

ღონისძიების ორგანიზატორებმა (*ლ. ჩარკვიანი, ნ. ნებიერიძე, ვ. ნებიერიძე, ი. მიზანდარი*) ფესტივალის ჩასატარებლად სპეციალურად საგანგებოდ შეარჩიას ქუთაისის “ნიღბების თეატრის” შენობა, ბავშვთა გამოსვლების პარალელურად ეჩვენებინათ სცენები თეატრის რეპერტუარიდან მსახიობთა შესრულებით, რამაც კიდევ მეტი ხალისი შეჰმატა ღონისძიებას და უფრო დასამახსოვრებელი გახადა ეს დღე.

ფესტივალის პროგრამაში გათვალისწინებული იყო სპეციალური სკოლების მოსწავლეთა გონებრივ-ფიზიკური შესაძლებლობანი, ამიტომ ზეიმის მონაწილეს შეეძლო სიცოცხლის თემაზე წარედგინა როგორც მხატვრული ნომრები ცოცხალი შესრულებით, ისე სპეციალურად ამ თემაზე შესრულებული ნახატები, რაც თვალსაჩინოდ იყო გამოფენილი თეატრის ფოიეში.

ფესტივალი გახსნეს ბროწეულას სკოლა-ინტერნატის მოსწავლე-გოგონებმა დავით გურამიშვილის ლექსით “იესო”, მათ მშვენივრად წარმოადგინეს ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია სიცოცხლის თემაზე. რამოდენიმე წუთის განმავლობაში ვისმენდით საქართველოს გმირულ-ისტორიული წარსულის ამსახველ ლექსებს, აშკარად ჩანდა ბავშვთა მონდომება, პასუხისმგებლობა და უდიდესი სურვილი გაეზიარებინათ ფესტივალის პათოსი – სიცოცხლის შეცნობა,

როგორც ღვთიური მადლი, უფლისგან ნაბოძები საჩუქარი. იმავდროულად მათს გაცისკროვნებულ თვალებში ამოიკითხავდით სიამაყის და საკუთარი ღირსების განცდასაც.

ღონისძიების საზეიმო ნაწილი დაასრულეს მშვენიერი ცეკვებით ქუთაისის “კარიტასის ბავშვთა ცენტრის” მოსწავლეებმა.

დამთავრდა სიცოცხლის ფესტივალი. მართალია, მონაწილეთა პროგრამა და მისი შესრულების ხარისხი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა, მაგრამ ყველას აერთიანებდა სურვილი – განსაკუთრებით გამოეჩინა თავი. და რაც მთავარია, ამ დღეს ყველა ერთნაირად იყო კმაყოფილი, გახარებული და უზომოდ ბედნიერი.

ორი საათის განმავლობაში ჩვენც – დარბაზში მსხდომი მაყურებლები სულ სხვაგვარი განცდით ვუსმენდით სხვადასხვა ტიპის სპეციალური სკოლების ერთად თავმოყრილ ბავშვებს, ვაკვირდებოდით მათს სახეებს და შინაგან ემოციებს ვერ ვფარავდით, ხმამაღლა გამოვთქვამდით კმაყოფილებას INER Georgia-ს ამ შესანიშნავი წამოწყების გამო და იმის სურვილსაც რომ ასეთი ინიციატივა გახდეს მისაბაძი მაგალითი სხვათათვის, ვისაც მატერიალურად ხელეწიფებათ ამგვარი ღონისძიების გამართვა.

და მაინც განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ქუთაისის ინვალიდთა სკოლა “ტონუსის” ბავშვთა გამოსვლა, რომელსაც შესანიშნავად უძღვებოდა მუსიკის მასწავლებელი ზემფირა ხვედელიძე. მან ისე მოხდენილად ჩართო მუსიკალური ნომრების შესრულების დროს მთელი დარბაზი, რომ ყველა გაქცია ფესტივალის უშუალო მონაწილეებად. ქნმა ზემფირამ ღონისძიების ორგანიზატორებს და მონაზონ ანამარიას გულწრფელი მადლობა გადაუხადა იმისათვის, რომ ამ კატეგორიის ბავშვებს აჩუქეს ასეთი მშვენიერი დღე და გაუხალისეს მეტ-ნაკლებად მძიმე ცხოვრება.

აღბათ, ეს დღე ყველაზე ძვირფასი საჩუქარი მაინც იყო იმ ორი ინვალიდი გოგონასათვის, რომლებიც სცენაზე მტელი მონდომებით წარმოთქვამდნენ ლექსებს და მღეროდნენ თანატოლებთან ერთად. და როცა დარბაზიდან მაყურებელი ტაშით ამხნევებდა, მათი სევდიანი გამოხედვა ბედნიერი ღიმილით იცვლებოდა, რითაც უსუტყვოდ ამჟღავნებდნენ მადლიერებას უფლისადმი, იმ ადამიანებისადმი, რომელთაც შეუძლიათ სხვისი ტკივილის გათავისება, სხვათა ნუგეში და თანადგომა.

დასასრულ, ფესტივალის მონაწილე სკოლებს მათი სურვილისა და მოთხოვნების მიხედვით INER Georgia-მ საჩუქრად გადასცა ფასიანი საჩუქრები (ტელევიზორი, სპორტული ინვენტარი, სათამაშო კომპიუტერი და სხვ.).

2006 წლის 14 ივნისი “სიცოცხლის ფესტივალი” ორგანიზაციის მოღვაწეობის ისტორიაში დარჩება, როგორც მოყვასის სიყვარულის, მათზე ზრუნვისა და ახალგაზრდობის სულიერების ამაღლების კიდევ ერთი გამოსატყულება, თითოეული მონაწილის ცხოვრებაში – როგორც ყველაზე ბედნიერი დღე და უფლის ნაბოძები სულიერი საზრდო, ხოლო ჩვენთვის – დარბაზში მსხდომი უფროსებისათვის – ერთი საინტერესო ზნეობრივი გაკვეთილი ადამიანის მოვალეობა – პასუხისმგებლობის შესახებ.

**ჟუჟუნა  
ფეიქრიშვილი  
ქუთაისი**

\*\*\*

უფალო, შენი მსახურება შემადღებინე;  
სადაც სიძულვილია, იქ სიყვარული გამაჩაღებინე;  
სადაც შეცოდებაა, იქ მიტევება დამაწესებინე;  
სადაც შფოთია, იქ სიმშვიდე დამამკვიდრებინე;  
სადაც სიცრუეა, იქ სიმართლე დამაფუძნებინე;  
სადაც ეჭვია, იქ რწმენა დამანერგინე;  
სადაც უსასოებაა, იქ იმედი გამაღვივებინე;  
სადაც სიბნელეა, იქ სინათლე მიმატანინე;  
სადაც მწუხარებაა, იქ სიხარული მომაფენინე.

\*\*\*

უფალო, მიბოძე ძალა,  
ვანუგეშო უკეთ,  
ვიდრე მანუგეშებენ;  
ადამიანებს გაუუგო უკეთ,  
ვიდრე გამიგებენ;  
შევიყვარო უფრო მეტად,  
ვიდრე შემიყვარებენ, –  
რამეთუ:  
გავცემთ და... მოგვეცემა;  
თავს თუ დავივიწყებთ,  
ვიპოვით საკუთარ თავს;  
თუ მივუტევებთ,  
მოგვეტევენა,  
მოვკვდებით და...  
გავიღვიძებთ მარადიული სიცოცხლისათვის.

### ჩიტების ლოცვა

ჩემო პატარა დაიებო, ჩიტუნიებო,  
თქვენ ღმრთისაგან ხართ, შემოქმედისგან!  
ყველგან, ყოველთვის ღმრთის ქება გმართებთ!  
მან მოგანიჭათ სილადე და ფრენის უნარი,  
მოგცათ ფერადი შესამოსელი,  
და უფრო მეტიც, –  
უფალმა ნოეს კიდობანში  
მიგიჩინათ თქვენი ადგილი,  
რომ ფრინველთ მოდგმა შემოენახა,  
და აგაცილათ გადაშენება.  
ღმერთს უმადლოდეთ თქვენ ჰაერის სტიქიისათვის,  
თქვენს სამყოფელად რომ განაწესა,  
სანავარდოდ რომ დაგისაკუთრათ;  
და უფრო მეტიც, –  
არ თესავთ, არ მკით,  
უფალი გკვებავთ, გასაზრდოებთ.  
ღმერთმა გიბოძათ მორაკრაკე ნაკადულები,

რომ წყალი შესვათ;  
 თავშესაფრად მოგცათ მთები, მოგცათ ველები,  
 ხეები ზარდა, ტანმაღალი და რტომრავალი,  
 რომ მათ ტოტებში გამართოთ ბუდე;  
 თქვენ ხომ ჭრა-კერვა ანდა ქსოვა არ გეხერხებათ, –  
 ღმერთმა დაგმოსათ თქვენც და თქვენი ნაშვილებიც.  
 უყვარხართ დიდი სიყვარულით უფალს, შემოქმედს!  
 უფალმა ღმერთმა თქვენ მოგმადლათ სიკეთე დიდი,  
 ამიტომ, ჩემო ჩიტუნებო, პაწია დებო,  
 ნუ გაიკარებთ უმადურებას,  
 შეუსვენებლივ იგალობეთ,  
 გაიწაფეთ ღმრთის ქებაში,  
 ღმრთის დიდებაში!

თარგმნა მანანა გიგინეიშივილი

### სინოდის წევრები:

კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციაში მოღვაწე ლათინური და ასირ-  
 ქალდეური წესის ყველა ღვთისმსახური:

1. ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო – სინოდის პრეზიდენტი
2. მამა გაბრიელე ბრაგანტინი
3. მამა ანდრეი გრაციკი
4. მამა ბენიამის იადეგარი
5. მამა ადამ ოხალი
6. მამა კარლო დი სტეფანო
7. მამა ზურაბ კაკაჩიშვილი
8. მამა პიერ დიუმულენი
9. მამა ივან მარტინი
10. მამა პავლე დილი
11. მამა ლუიჯი მანტოვანი
12. მამა იეჟი შიმეროვსკი
13. მამა იეჟი პილუსი
14. მამა არტურ გარბესკი
15. მამა ზიგმუნდ ნეჯვეჯი
16. მამა ვლადიმირ აქსენტიევი
17. მამა ვიტოლდ შულჩინსკი

სამოციქულო ადმინისტრაციის ტერიტორიაზე არსებული ყველა რელიგიური  
 საკრებულოს თითო წარმომადგენელი:

18. და ტერეზა სოლნიჩეკი – სალუზიანელები
19. და ანა მარია კრიველარი – წმ. იოსების პატარა ქალიშვილები
20. და ელსი ტირუტანატილი – წმ. კამილოს საკრებულო
21. და ნელენა – ტერეზას დების კონგრეგაცია

**საეკლესიო მოძრაობებისა და ასოციაციების მიერ არჩეული  
წარმომადგენლები:**

22. ანჟელიკა მელიქ-მაროტოვი – ნეოკატეხუმენალური საკრებულო
23. სერგო მელიქ-მაროტოვი – ნეოკატეხუმენალური საკრებულო
24. კოტე ოცხელი, წმ. ეჯიდიოს საკრებულო
25. ერთი დელეგატი – რწმენა და სინათლის საკრებულო
26. ნაზი კვარჩია – საქართველოს კარიტასი
27. იან ხამოევი – საქართველოს კარიტასი
28. ნანა ნებიერიძე – ინერ-საქართველო
29. ოლგა ნაბიბეკოვა – კამილიელთა საერო პირების ოჯახი
30. მანანა ანდრიაძე – თეოლოგიური ინსტიტუტი „საბა“
31. თეონა ტატალაშვილი – ახალგაზრდული საბჭო
32. ლაშა მამულაშვილი – ახალგაზრდული საბჭო

**საკრებულოების წარმომადგენლები:**

33. ვაჟა ვარდიძე – მარიამის ამალღების კათედრალური ტაძარი
34. თინათინ კოკოჩაშვილი – მარიამის ამალღების კათედრალური ტაძარი
35. კარინა ოსიპოვა – წმ.წმ პოციქულების პეტრესა და პავლეს თბილისის კათოლიკური ეკლესია
36. ნადია ჩიტაძე – წმ.წმ პოციქულების პეტრესა და პავლეს თბილისის კათოლიკური ეკლესია
37. ტრისტან კობახიძე – სიზაბავრა – ლაგოდეხი
38. ანა ველიჯანაშვილი – მთისძირი
39. ერთი დელეგატი – სანავარდო
40. ბაბილინა ბაზერაშვილი – რუსთავი
41. გიორგი საზანდრიშვილი – გორი
42. ვასილ ბალიაშვილი – ახალხიზა
43. ნატალია ასპანიძე – ბორჯომი
44. ლუსინე პეტროსიანი – ახალციხე
45. ნანა გოგილაშვილი – ვალე
46. ნელი გაბელაშვილი – ვალე
47. ლელა მამუკაშვილი – ივლიტა
48. ნათელა ჩილინგარაშვილი – არალი
49. ციალა კალანდია-კაჭკაჭიშვილი – არალი
50. სვეტლანა ბოჩიკაშვილი-მათოშვილი – ბენარა
51. ეკატერინე კაკოშვილი – უდე
52. შორენა პარუნაშვილი – უდე
53. ნელი მამუკაშვილი – აბასთუმანი
54. ქეთევან ობოლაშვილი – უნწა
55. თემურ პლატიაშვილი – სიზაბავრა
56. მარეს მექოშვილი – სიზაბავრა
57. მარეს ლაზარაშვილი – ვარგავი
58. ლევან ბეგიშვილი – ქუთაისი
59. ვალერი ოცხელი – ქუთაისი
60. ხანგანოზ ელიაზიანი – ჭიათურა
61. სოფიკო აზარაშვილი – ახალშენი
62. სამოელ იაჟიანი – ოზურგეთი
63. ანტონ ხითაროვი – შრომა

- 64. თემურ სურმანიძე – ბათუმი
- 65. ეკატერინე ბიტკაში – ასირო-ქალდეური საკრებულო
- 66. დანა ბიტკაში – ასირო-ქალდეური საკრებულო
- 67. ჟანა ავდოევა – ასირო-ქალდეური საკრებულო
- 68. პეტრე ჯემო – ასირო-ქალდეური საკრებულო
- 69. ელენა ადამოვა – ასირო-ქალდეური საკრებულო

### სამდივნო

- 70. მამა აკაკი ჭელიძე
- 71. ციცილო ხითარიშვილი
- 72. ნინა აივაზოვა

ინტერვიუ

### სინოდს ჩვენი გულმოდგინე ლოცვა სჭირდება

*2005 წლის 27 ნოემბერს, ადვენტის კვირაძალში, გამოცემული დეკრეტის საფუძველზე, ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციისა და ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს გადაწყვეტილებით, დაინიშნა კათოლიკე ეკლესიის პირველი სინოდი საქართველოში. სინოდი მხოლოდ საეკლესიო პირთა კრება კი არა, მთელი ეკლესიის – საერო და საეკლესიო პირთა – შეკრებაა. 2006 წლის აპრილში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციისა და სინოდის კომისიის მითითებების შესაბამისად, ყველა საკრებულოში აირჩა სინოდის წევრები.*

*„საბას“ რედაქციამ მიიჩნია, რომ მკითხველებისათვის საინტერესო იქნება შეძლებისდაგვარად გააცნოს მათ სინოდის წევრები.*

*ამჟამად გთავაზობთ რამდენიმე ინტერვიუს სხვადასხვა საკრებულოების წარმომადგენლებთან – სინოდის წევრებთან, რომლებიც „საბას“ ადგილობრივმა კორესპონდენტებმა ჩაიწერეს.*

ქუთაისის საკრებულოდან სინოდის წევრებად არჩეულ იქნენ ვალერი ოცხელი და ლევან ბეგიშვილი.

გთავაზობთ „საბას“ კორესპონდენტის დოდო ნებიერიძე-გაბრიჩიძის ინტერვიუს ლევან ბეგიშვილთან.

რა ვითარებაში წარიმართა ქუთაისის საკრებულოში სინოდის წევრთა არჩევა და რას ნიშნავს თქვენთვის, ბრძანდებოდეთ სინოდის წევრი?

როგორც ვიცით, სინოდის წევრებს კენჭისყრით ირჩევენ საკრებულოებში და რელიგიურ ორგანიზაციებში, როგორც სინოდის კანონმდებლობაში იყო მითითებული. ქუთაისის საკრებულოს ორი დელეგატის აჩევის უფლება ჰქონდა და ეს შემთხვევითი არ არის. ბედნიერი ვარ, რომ ერთ-ერთი მე აღმოვჩნდი. აქვე მინდა



მადლობა გადაუხადო ყველას, ვინც მხარი დამიჭირა და, საერთოდ, ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო სინოდის არჩევნებში, რადგანაც ეს მათთვისაც დიდი პასუხისმგებლობა და სინოდში მონაწილეობის აქტიური ფორმა იყო. ქუთაისის საკრებულოში ეს სუკლისკვეთება ნამდვილად იგრძნობოდა. არჩევნების პროცესმაც ორგანიზებულად ჩაიარა.

თუ რას ნიშნავს პირადად ჩემთვის, იყო სინოდის წევრი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, პასუხისმგებლობას ჩემი საკრებულოს წინაშე და მოვალეობას – მისი ავკარგი სინოდის ტრიბუნამდე მივიტანო. მოუთმენლად ველი სინოდის წევრთა პირველ შეკრებას.

**იღებდი თუ არა მონაწილეობას „სინოდის მონახაზის“ მომზადებაში? კითხვარი მეც შევაფხვ, რომელშიც ბევრი და საინტერესო კითხვაა და სრულად მოიცავს კათოლიკე ეკლესიის ცხოვრებას საქართველოში. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ თქვენ მათზე მუშაობის დროს და, თქვენი აზრით, რამდენად დაეხმარება ეს სინოდს მუშაობაში?**

კითხვარების საბოლოო დამუშავებაზე სამწესო საბჭოს წევრები ვმუშაობდით. კითხვარი საკმაოდ ვრცელი იყო – 35 შეკითხვა და თავისი თემატიკის მიხედვით 7 განყოფილებად იყო დაყოფილი. ნათელია, სინოდის კომისიამ ეს ანკეტები იმისთვის შეადგინა, რომ მათი მეშვეობით წარმოჩენილიყო საკრებულოებში არსებული მდგომარეობა, მრევლის სულიერი განწყობა, მათი აზრი და დამოკიდებულება მთელ რიგ საკითხებთან მიმართებაში. მათში უნდა ასახულიყო ყველაფერი ის, რაც მრევლს აწუხებს ან ახარებს, რა მოსწონს და რა არ მოსწონს და ა. შ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც კათოლიკური საკრებულოს ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. ქუთაისის საკრებულოს მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ ასეც მოხდა. კითხვარების დიდი უმრავლესობა მონდომებითაა შევსებული, ზერელე დამოკიდებულება არ იგრძნობა და საკრებულოს ცხოვრების საკმაოდ ნათელ სურათს იძლევა. მათში საინტერესო აზრებია გამოთქმული, რომლებსაც, იმედია, სინოდი ყურადღებას მიაქცევს. დარწმუნებული ვარ, ასე იქნებოდა სხვა საკრებულოებშიც, ამიტომ ეს ყველაფერი დიდად დაეხმარება სინოდს მუშაობაში. მეტიც, ეს სამუშაო დოკუმენტი ერთ-ერთი ათვლის წერტილი იქნება, საიდანაც სინოდი თავის მუშაობას დაიწყებს. გარდა ამისა, ეს ერთგვარი სტატისტიკაც არის.

**და მაინც, რომელია ის საკითხები ყველაზე უფრო რომ აღელვებს მრევლს?**

ასეთები ბევრია: სულიერი მოთხოვნილებებიდან დაწყებული მატერიალური პრობლემებით დამთავრებული, მაგრამ ჩანს, რომ ხალხს, უპირველესად, რწმენასთან და სულიერებასთან დაკავშირებული საკითხები აღელვებს. ერთ-ერთ წინა პლანზეა ეკლესიის დაბრუნების ან აშენების საკითხი და დანარჩენ საზოგადოებასთან კათოლიკეების ურთიერთობის პრობლემები. საჭირობოროტო საკითხები ბევრია და ახლა ვრცლად ამაზე საუბრის საშუალება და საჭიროება, არა მგონია, იყოს. ვფიქრობ, ყველაფერი ამის შესახებ სინოდის სხდომებზე იქნება მსჯელობა და შემდეგ მრევლისათვისაც გახდება ცნობილი.

**თქვენ თვითონ, პირველ რიგში, რა საკითხებს წამოწევდით სინოდის მუშაობისას და, თქვენი აზრით, რა არის დღეს ყველაზე აქტუალური, როგორც მთლიანად კათოლიკური თემისათვის საქართველოში, ასევე კონკრეტულად ქუთაისის საკრებულოსათვის?**

აქტუალური მართლაც ბევრი რამ არის. ვფიქრობ, ერთ-ერთი უმთავრესი, ჩვენი, კათოლიკური თემის, საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებაა, ისეთის, ჩვენს წინაპრებს რომ ეკავათ და ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილს რომ შეადგენდნენ. ამას კი მხოლოდ ხალასი რწმენით, განათლებით და კულტურით შეუძლებოდა. ასევე ძალზე დასაფიქრებელია, საიდან აღმოცენდა და რა ასულდგმულებს იმ სენს, რომელიც შეყრია ქართულ საზოგადოებას ბოლო 10-15 წელია და, რასაც შეუმწყნარებლობა და გაუცხოება ჰქვია, რომელიც კედელივით აღმართულა მართლმადიდებელ უმრავლესობასა და კათოლიკე უმცირესობას შორის. ძნელია მასთან საუბარი, ეკლესიაზე ან სხვა პრობლემებზე, ვინც, ლამის, ერის მოღალატედ მიგიჩნევს შენი აღმსარებლობის გამო; ძნელია ძმურ ურთიერთობაზე დიალოგის წარმართვა, როდესაც მეორე მხარე თანასწორად არ წარმოგიდგენს. გარკვეული ძალები ცდილობენ ამ უფსკრულის გადრმაგვებას და სურთ ქვეყანაში კიდევ ერთი დაპირისპირების კერა გააჩინონ, ამჯერად რელიგიურ ნიადაგზე. ყოველივე ამის დასაძლევად, ჩვენის მხრივ, ფრთხილი ნაბიჯები, დიდი მუშაობა, მოთმინება და სიმტკიცე გვმართებს. აქვე თავისთავად იკვეთება კიდევ ერთი აქტუალური საკითხი – ჩვენი ეკლესიის იურიდიული სტატუსი. ასევე რელიგიის სწავლების სისტემა და მეთოდები სკოლებში და სხვ.

რაც შეეხება კონკრეტულად ქუთაისის საკრებულოს, მასაც ისევე აწუხებს ეს პრობლემები, როგორც ყველას, თუმცა ეკლესიის შენობის საკითხი ჩვენთვის კვლავ აქტუალურია. დრომ გვიჩვენა, რომ მიღებულმა გადაწყვეტილებამ – შეგვეჩერებინა სასამართლო პროცესი და არ გაგვეგრძელებინა ის საერთაშორისო ინსტანციებში – არ გააუმჯობესა ურთიერთობა კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის. ქუთათურთათვის ეკლესიის შენობის საკითხი კვლავ ღიად რჩება და მათ ღია ჭრილობას წარმოადგენს. ვიცი რომ, ბევრი პატიოსანი მართლმადიდებელიც ამასვე ფიქრობს.

**თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს თითოეულმა კათოლიკემ, რომ თქვას: „ეს სინოდი ჩემიც არის“.**

ეს სინოდი ჩემიც არის და თითოეული ჩვენგანისაც, აი, რა უნდა გაიაზროს, პირველ რიგში, ყოველმა კათოლიკემ (ყოველ შემთხვევაში ეს ასე უნდა იყოს), თუ კი ვინმე ასე არ ფიქრობს და განზე დგას, ეს არა მარტო მისი, არამედ მისი საკრებულოსა და, საერთოდ, ჩვენი პრობლემაა და ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ.

ხოლო რაც შეეხება იმას, თუ რა უნდა ვაკეთოთ, მოკლედ გეტყვი: უნდა ვიყოთ აქტიურნი, გაბედულად გამოვთქვათ ჩვენი აზრი და მივიტანოთ ისინი სინოდამდე. და კიდევ, ყველამ თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულოს.

## **ინტერვიუ კარინა ოსიპოვასთან ჩაიწერა ნადია ჩიტაძემ**

**ქალბატონო კარინა, გილოცავთ ჩვენი ეკლესიიდან სინოდის წევრად არჩევას. როგორ გრძნობთ თავს ამ რანგში?**

გმადლობთ, ქალბატონო ნადია, გულთბილი მოლოცვისათვის და, ჩემი მხრივ, მეც გილოცავთ სინოდის წევრობას. იცით, გრძნობები იცვლებოდა. არჩევნების პროცესში თავიდან კარგად ვერ გავიგე, სად წარმადგინა სამრევლო საბჭომ; შემდეგ, არჩევნების დღეს უხერხულედა ვიგრძენი, როდესაც პირისპირ აღმოვჩნდი მრევლის წინაშე, რადგანაც მიმანია, რომ ჩვენს ეკლესიაში უფრო შესაფერისი

კანდიდატურებიც არიან. არჩევნების შედეგმა ჩემს თავმოყვარეობაზე იმოქმედა და თითქოს ზეცამდე ავედი, მაგრამ, სულ მალე მრევლის ერთ-ერთმა წევრმა თავისი სიტყვებით მიწაზე დამაბრუნა. მან მითხრა, რომ ღრმად გავცნობოდი ჩვენი ეკლესიის პრობლემებს, მორწმუნეთა სურვილებს და დამაჯერებლად და ღირსეულად წარმედგინა ისინი სინოდის წინაშე.

### **სინოდი ჩვენთვის უცნობი მოვლენაა, რას შეადარებთ თქვენ მას?**

სინოდი მე წარმომიდგენია ეკლესიის პარლამენტად, სადაც ყოველი არჩეული დეპუტატი წარუდგენს სინოდს საკუთარი მრევლის, თავისი ორდენის, საკრებულოს პრობლემებს, ან საქართველოში კათოლიკე ეკლესიაში არსებულ სხვა რეალობებს.

### **თქვენ უკვე დაინტერესდით წმიდა მოციქულების პეტრესა და პავლეს ეკლესიის მრევლის ამჟამინდელი მდგომარეობით?**

დიახ, ვესაუბრები, როგორც ძველ, მოხუც მორწმუნეებს, ისე ახალგაზრდებს, მოზრდილებს და ბავშვებს. ჩვენი მრევლი აზროვნებს ერთდროულად, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, მასშტაბურად და კონკრეტულადაც. ისინი ფიქრობენ ეკლესიაზე და ამავე დროს საკუთარ თავსაც არ ივიწყებენ, გამოთქვამენ ურთიერთსაწინააღმდეგო სურვილებს, მაგრამ ყველას აერთიანებს ის, რომ მჭიდროდ არიან მიჯაჭვულნი ჩვენს ტაძართან, პატივს სცემენ და ემადლიერებიან ჩვენს მღვდლებს.

### **როგორ აღიქვამთ თქვენი არჩევა ოჯახის წევრებმა.**

ნახევრად სერიოზულად, ნახევრად ხუმრობით. სერიოზულად იმიტომ, რომ ოჯახში ერთად წავიკითხეთ ეპისკოპოსის სამწყსო წერილი – სინოდი და მივხვდით, რომ სინოდი ეს არის ეკლესიის უმაღლესი ორგანო, თანაც ახალი და ძალიან მნიშვნელოვანი რამ ეკლესიის მომავლისათვის. ხუმრობით კი იმიტომ, რომ მე ვარ წყნარი, არაპრაქტიკული, შეიძლება ითქვას, ჩაკეტილი ადამიანი, მირჩევნია, არ მოვხვდე ყურადღების ცენტრში, ხალხმრავალ ადგილებში, არა ვარ მიზანდასახული. გახდე დეპუტატი ასეთი თვისებებით, მხოლოდ ეკლესიაშია შესაძლებელი.

### **გვიაბზეთ თქვენს შესახებ და კიდევ, ამჟამად რა საქმიანობას ეწეით?**

დავიბადე 52 წლის წინ, 20 წლისამ ოჯახი შევქმენი. 28 წელია, რაც მუსიკის თეორიის პედაგოგად ვმუშაობ. უკვე ოცი წელია ეკლესიაში დავდივარ და ვარ 15 წლის წინ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შექმნილი პირველი ნეოკატეხუმენური საკრებულოს წევრი. ვეწევი კატეხისტურ საქმიანობას და კატეხიზაციებს ვუტარებ მოზრდილებს. ოჯახში ვზრდი ბავშვებს და ბავშვები მზრდიან მე. ამჟამად, არდადეგებზე, ძირითადად ოჯახური საქმეებით ვარ დაკავებული.

### **რა გამოცემების ნახვა შეიძლება თქვენს საწერ მაგიდაზე?**

ბევრის ნახვა შეგიძლიათ, მაგრამ მხოლოდ ბიბლიის კითხვას ვასწრებთ. ასევე ვკითხულობთ რელიგიურ თუ ისტორიულ ლიტერატურას, სამეცნიერო-სახელოვნო წიგნებს და ჟურნალ „საბას“, რომელიც აკმაყოფილებს თავისი მკითხველის მრავალმხრივ ინტერესებს და ავსებს ჩვენი ცოდნის თეთრ ლაქებს.

## **როგორ ხელაღვთ დღეს ჩვენს ეკლესიას?**

ვხედავ, როგორც სული წმიდის დამჯერ და მონდომებულ მოწაფეს. იგი ცოცხალია, მრავალმხრივია, მოძრავია, შემოქმედია, დინამიურია, რომელიც ეძებს და პოულობს საჭირო პასუხებს დროის გამოცდილებაზე, ეწევა ევანგელიზაციას, ეხმარება ხალხს, რათა მათ მისცეს რწმენა და სიყვარული. სწორედ ასეთი მესახება მე ქრისტეს ეკლესია.

## **გმადლობთ საინტერესო და შინაარსიანი საუბრისათვის.**

**ბათუმის კორესპონდენტი თენგიზ პარამაქსიზიშვილი სპეციალურად „საბას“-თვის ესაუბრა ბათუმის საკრებულოდან არჩეულ სინოდის წევრს თემურ სურმანიძეს.**

### **როგორ ემზადება ბათუმის საკრებულო სინოდისათვის?**

გარედანაც კი ჩანს, რომ წლების მანძილზე საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა საკრებულოს სულიერად განმტკიცებისათვის. მოხერხდა საკრებულოს წევრთა შორის საერთო ენის გამონახვა. სინოდიდან ყველა მოელის უკეთესობას არა მარტო ბათუმის საკრებულოში, არამედ საერთოდ, საქართველოში.

### **რას ელოდებით სინოდისაგან პირადად თქვენ?**

სულიერ ამაღლებას, ქრისტესთან სიახლოვეს, თუნდაც რამდენიმე წამითაც კი, სულიერ განწმენდას და ეკლესიური ცხოვრების ახალი ძალით, ახალი ხიბლით გაგრძელებას.

**როგორც საკრებულოს წარმომადგენელი, რა საკითხებს და პრობლემებს დააყენებდით სინოდის წინაშე?**

ადიკვეთოს ფარისევლობა. პირველ რიგში, საკრებულოს შიგნით უნდა მოგვარდეს ურთიერთობები, შეწყდეს დაპირისპირება ენის საკითხზე. ეკლესიაში უნდა იხმარებოდეს ქართულიც, რუსულიც, ლათინურიცა და, თუ საჭირო გახდება, სხვა უცხო ენაც. კარგი იქნება თუ ყურადღება დაეთმობა ურთიერთობებს სხვა ქვეყნის კათოლიკურ საკრებულოებთან. სასურველია, თუ ეკლესიაში იქნება ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, რაც გაგვიადვილებს ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას საქართველოსა და სხვა ქვეყნების კათოლიკურ საკრებულოებთან, ეს ჩვენს საკრებულოს სასიკეთოდ წაადგება.

### **თქვენი აზრი ჟურნალ „საბას“ შესახებ.**

„საბა“ ძალზე საინტერესო გამოცემაა, ყოველი ნომერი ახალ, საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. კორესპონდენტებს კი ვთხოვ, თუ კი ეს შესაძლებელი იქნება, უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს მეზობელი ქვეყნების კათოლიკეთა ცხოვრების ამსახველ ფაქტებს და გამოინახოს საშუალებები მათაც გავაცნოთ ინფორმაციები ჩვენს შესახებ (წელიწადში ერთხელ მაინც გამოიცეს „საბა“

რუსულ ან რომელიმე უცხო ენაზე და გაიგზავნოს სხვა ქვეყნებში და, საერთოდ, მოხდეს ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა).

**თქვენი აზრი საქართველოში კათოლიკე ეკლესიის, აგრეთვე ბათუმის საკრებულოს წარსულისა და მომავლის შესახებ.**

ვხედავ ნათელ მომავალს. წარსული – ნამდვილად დიადი წარსული – დაფიქსირებულია ჩვენს ისტორიაში და მას ვერავინ წაშლის. ნათელი მომავლისათვის კი საჭიროა შრომა, სულიერი სიმტკიცე და მოთმინება. ჩემი აზრით, ჩვენ უნდა ვიყოთ ქარავანი, რომელიც, მიუხედავად დაბრკოლებებისა, წინ მიიწევს. ჩვენს წინსვლას ვერავინ შეაფერხებს!

**ლელა მამუკაშვილი დაიბადა სოფელ უდეში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიური ფაკულტეტი, 1989 წელს შექმნა ოჯახი. ამჟამად ცხოვრობს სოფელ ივლიტაში და მუშაობს საქართველოს ბანკის ლომბარდში, ექსპერტ-შემფასებლად. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.**

**„საბას“ კორესპონდენტის, თონა ტატალაშვილის შეკითხვაზე, რას ნიშნავს მისთვის სინოდი და რა არის ივლიტის საკრებულოს მთავარი პრობლემები, ქალბატონმა ლეილამ შემდეგი უპასუხა:**

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა ეპისკოპოსმა სინოდის ჩატარება გადაწყვიტა, რადგანაც მას მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს სულიერი და პრაქტიკული თვალსაზრისით. ვამაყობ, რომ ივლიტის საკრებულომ სინოდის დეპუტატად მე წარმადგინა. სინოდისაგან მე ველოდები პრაქტიკულ ნაბიჯებს ჩვენი, კათოლიკე ეკლესიის პრობლემების გადაწყვეტაში (მღვდლების სიმცირე, ახალგაზრდების ჩაბმა სულიერ ცხოვრებაში, წართმეული ეკლესიების დაბრუნება, ახლების მშენებლობა).

ვფიქრობ, ივლიტის საკრებულოს ბევრი პრობლემები აქვს, მაგრამ იმედი აქვს, რომ სინოდი ჩვენი პრობლემების გარკვეული ნაწილის მოგვარებას მაინც შეძლებს. ივლიტის საკრებულოს ყველაზე დიდი პრობლემა კი ეკლესიის დაბრუნებაა, რომელსაც უკვე რამდენი წელია ელის.

ვლოცულობ სინოდისათვის იმ იმედით, რომ უფალი მარტო არ მიატოვებს იმ რთულ გზაზე, რომელზეც მას მოუწევს სიარული. დაე, უფალმა აკურთხოს ჩვენი ერთად სვლა, ჩვენი რწმენა.

**ნათელა ჩილინგარაშვილი დაიბადა სოფ. არალში, 1954 წელს, ძირძველ კათოლიკე მორწმუნეთა ოჯახში ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ხუთი შვილიშვილი. მუშაობს არლის „ქალთა სალონში“, მეუღლესთან ერთად საკრებულოს აქტიური წევრია, არჩეულია სამწესო საბჭოს წევრად და სინოდის წევრად.**

**ციალა კალანდია-კაჭკაჭიშვილი დაიბადა მარტვილის რაიონის სოფ. ტალერში, მორწმუნე მართლმადიდებელ ოჯახში, 1953 წელს. 1970 წელს დაქორწინდა და სოფ. არალში შექმნა კათოლიკე ოჯახი, ჰყავს ორი შვილი და ხუთი შვილიშვილი. განათლებით პედაგოგი, 33 წელია, რაც მუშაობს სკოლამდელ დაწესებულებაში მასწავლებლად. არის დამსახურებული მასწავლებელი, კატეხისტი, 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებში, სამწესო საბჭოს თავმჯდომარე, არჩეულია სინოდის წევრად.**

მათ შეხვდა „საბას“ კორესპონდენტი არალში **თეონა ტატალაშვილი** და გაესაუბრა სინოდის ირგვლივ.

**რას ნიშნავს თქვენთვის სინოდი ანუ ერთად სვლა და რა მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენას პირადად თქვენთვის?**

**ქ-ნი ნათელა:** ესაა რწმენის გაღრმავების მომენტი და ურთიერთსიყვარულის გამოძევა. პირადად ჩემთვის დიდი სტიმულის მომცემი და რწმენაში განმტკიცების სიმბოლოა, ასევე დიდი პასუხისმგებლობაცაა და მასში მონაწილეობას ღმრთის დიდ საჩუქრად მივიჩნევ.

**რას ელით სინოდისაგან თქვენი საკრებულოსათვის?**

**ქ-ნი ნათელა:** მრევლის წევრებმა (ახალგაზრდებმაც და ზრდასრულებმაც) უნდა იგრძნონ მხადაჭერა, ზრუნვა და სიყვარული და უნდა გააცნობიერონ, რომ ყველასათვის საჭირონი არიან.

**ქ-ნი ციალა:** ჩემი აზრით, ალბათ, მნიშვნელოვანია ეკლესიის ესთეტიკური მხარეც, რადგან მასში მრევლმა უფრო მეტად განიცადოს და შეიგრძნოს სულიერი სიმშვიდე.

**როგორ ემზადება თქვენი საკრებულო სინოდისათვის?**

**ქ-ნი ციალა:** ჩვენი საკრებულო დიდი ენთუზიაზმით უყურებს სინოდის ჩატარებას. მრევლში უფრო მეტი დისციპლინა და აქტიურობა იგრძნობა. სულიერ მომზადებაში დიდ დახმარებას გვიწევს ჩვენი ეპისკოპოსის სამწყსო წერილი – სინოდი და ჟურნალი „საბა“, რომელშიც საინტერესო სტატიები იბეჭდება.

**ქ-ნი ნათელა:** ვფიქრობ ყველამ გულმსურვალედ უნდა ილოცოს სინოდისათვის. თითოეულმა თავისი ადგილი უნდა მონახოს საკრებულოში და იტვირთოს ყოველგვარი პასუხისმგებლობა ღმრთისა და მოყვასის წინაშე.

**ინფორმაცია**

## **ბენედიქტელთა ჩირაღდანი თბილისშია**

წმიდა მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში 1 ივნისს სტუმრად იმყოფებოდა სპოლეტოს მთავარეპისკოპოსი, მეუფე **რიკარდო მონტანა** და დელეგაცია ქ. ნორჩადან. დელეგაციაში იმყოფებოდნენ რამდენიმე ქალაქის მერი: **ნიკოლა სლემანო, ლეანდრო პეტრუჩი, ჯუზეპე ერკოლი, პიეტრო ლუიჯი ალტავილა** (ქალაქის ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელი) და ქალაქ ნორჩას საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მათ თბილისში ჩამოიტანეს ბენედიქტელთა ჩირაღდანი „ერთიანი ევროპისათვის“.

მთავარეპისკოპოსმა რიკარდო მონტანამ ახსნა ჩირაღდნის მნიშვნელობა: ის არის ლამპარი ყველა ქრისტიანისათვის – უფლის აღდგომის ნიშანი. პაპმა პავლე VI-მ ისურვა, რომ ეს ჩირაღდანი ქალაქ ნორჩადან ყველა იმ ქალაქში წასულიყო, სადაც რწმენა, სიყვარული და ძმობაა. უძველეს ქართველ ერს ყველა ეს თვისება აქვს და რწმენის ფესვები საუკუნეების სიდრმეში აქვს გადგებული. წმ. ბენედიქტე ჩვენს ეპარქიაში დაბადებული ყველა ბერის მამაა, საქართველოც ცნობილია ბერ-მონაზვნობით, ასე რომ, ეს ლამპარი ნიშანია თანაზიარებისა, იმ ღრმა და დიდი ქრისტიანობისა, რომელიც ჩვენ საერთო გვაქვს.

წმიდა წირვას ესწრებოდნენ იტალიელი სტუმრები, წმიდა საყდრის დესპანი, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი და მრევლის წევრები. წირვა ადავლინა ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ, ქადაგება წარმოთქვა სპოლეტოს მთავარეპისკოპოსმა რიკარდო მონტანამ. „პავლე მოციქულმა დღეს ერთხელ კიდევ

შეგვახსენა სოლიდარობის, ურთიერთთანადგომის საჭიროებაზე. თუ ხარ ქრისტიანი, ჩვენთან ერთად გაიზიარე უფლის ნიჭები. ამ ქვეყანაში წმ. გიორგის მოსვლით, წმ. ბენედიქტეს მეგობრები ამ მიწაზე დახმარებას პოულობენ. სულ ახლახანს ჩამოვედით საქართველოში და უკვე ვიგრძენით სიყვარული ჩვენი თანამოძმე ქრისტიანებისაგან. მომავალ ოთხშაბათს პაპის წინაშე წარვსდგებით და თქვენს რწმენაზე მოვეუყვებით...“ – დაუმატა მან.

წირვის დასასრულ ეკლესიაში შეკრებილ ხალხს მიესალმა ქ. ნორჩას მერი **ნიკოლა სლემანო**: მადლობელი ვარ თქვენთან ყოფნით. მოგესალმებით არა როგორც ქალაქის მერი, არამედ ჩვენი საკრებულოს სახელთაც მინდა გადმოგცეთ დიდი სიყვარული, მათგან მოძღვნილი. მცირე ხნის წინ ჩამოვედით თქვენს კურთხეულ ქვეყანაში და უკვე ვიგრძენით დიდი სითბო, სიყვარული და ადამიანური თანადგომა. ჩვენ ყველანი ჩამოვეყვით წმ. ბენედიქტეს ჩირადდანს, რომელმაც 31 წლის წინ გადადგა პირველი ნაბიჯი, რათა სხვა ეკლესიაში გადაენაცვლა და სინათლე და რწმენა მიეტანა იქ. ამ პერიოდში მან შეიძინა განსაზღვრება – ბენედიქტელთა ჩირადდანი „ერთიანი ევროპისათვის“.

როდესაც რომის იმპერია ინგრეოდა, წმ. ბენედიქტემ თავისი ბერები ევროპაში გააგზავნა მშვიდობისა და კულტურის მისატანად. 1969 წელს პაპმა პავლე VI-მ წმ. ბენედიქტე ევროპის მთავარ მფარველად გამოაცხადა ხუთი მიზეზის გამო: 1. ცივილიზაციისა და კულტურის მაცნე, 2. მშვიდობის მაცნე, 3. ერთიანობისათვის მოღვაწე, 4. დასავლური ბერმონაზვნობის დამფუძნებელი, 5. კათოლიკური რწმენის გუთნისდედა. აი, ესაა ის მიზეზები, რომლებიც გვიბიძგებენ მთელ ევროპაში, და სხვაგანაც, ვატაროთ ბენედიქტელთა ჩირადდანი და ვაჩვენოთ, რომ არ არის სახელმწიფო და საზოგადოება, რომელსაც არ გააჩნდეს საერთო ქრისტიანული ფესვები. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს შეხვედრები პოლიტიკურ მოღვაწეებთან, საზოგადოებრიობისა და კულტურის წარმომადგენლებთან“.

სტუმრებმა მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს და კათედრალის საკრებულოს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

**ციცინო ხითარიშვილი**

## **„საბას“ კორესპონდენტების მორიგი შეხვედრა წეროვანში**

გასულ წელს გაზეთ „საბას“ ჟურნალად – ყოველთვიურ მაცნედ – გადაკეთებისა და სარედაქციო კოლეგიის განახლების შემდგომ ბევრად უფრო გაღამაზდა და საინტერესო გახდა კავკასიაში ჯერჯერობით ერთადერთი, პერიოდული კათოლიკური გამოცემა – ჟურნალი „საბა“. მიმდინარე წლიდან ჟურნალის სარედაქციო საბჭოს მთავარი ყურადღება საკრებულოების კორესპონდენტთა პროფესიულ მომზადებას ეთმობა.

30 ივლისს, წეროვანის სულიერებისა და კულტურის ცენტრში, წელს უკვე მეორედ, შევიკრიბეთ „საბას“ კორესპონდენტები საინფორმაციო-სასწავლო მეთოდური მუშაობისათვის. ხოლო შუალედში ახალციხეში მოეწყო სარედაქციო საბჭოს შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის კათოლიკური საკრებულოების კორესპონდენტებთან.

წეროვანის შეკრებაზე მოსულმა კორესპონდენტებმა: თენგიზ პარმაქსიზიშვილმა, დოდო ნებიერიძემ, ნადია ჩიტაძემ, თეონა ტატალაშვილმა, მანანა ბაქრაძემ, მარინა აღლემაშვილმა, ნანა აღლემაშვილმა, ფიქრია მექოშვილმა, ანა ჭონიშვილმა, „საბას“ რედაქციის წევრებს: მამა გაბრიელეს, ციცილო ხითარიშვილს, ნუგზარ ბარდაველიძეს და ნატა ბიგვაჯას გააცნეს სამი თვის განმავლობაში მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

მამა გაბრიელემ შეაჯამა კორესპონდენტების მიერ შესრულებული საქმიანობა, შემდგომ კი უახლესი და შედარებით შორეული პერსპექტივები დაგვისახა, მოგვცა პრაქტიკული რჩევები და დავალებები.

ბატონმა ნუგზარ ბარდაველიძემ გამოგვკითხა პირველ შეხვედრაზე ჟურნალისტიკის საფუძვლებში მოცემული დავალებები, შემდეგ კი – რეპორტაჟისა და ინტერვიუს მომზადების თავისებურებები გაგვაცნო; მოკლედ მოგვითხრო საქართველოში ბეჭდვითი სიტყვის განვითარების საქმეში კათოლიკე ეკლესიის როლზე, გაგვაცნო ბეჭდვითი სიტყვის მოკლე ისტორია, ასევე ისაუბრა ახლახანს ბაკურიანში გამართულ ტოლერანტობის პრობლემებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმის შესახებ.

ქუთაისის საკრებულოს წარმომადგენელმა ქნმა დოდო ნებიერიძემ ექსპრომტად ლექსიც კი მიუძღვნა ჩვენს შეკრებას, „ამაყი ვარ რომ, ვარ კათოლიკე“, – ასე მთავრდებოდა ლექსი. ამ ამადლებული პათოსით დასრულდა „საბას“ კორესპონდენტთა მეორე შეკრება. მომავალი შეხვედრა შემოდგომაზე, სინოდის პირველი სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართება.

წეროვანში გამართულმა „საბას“ კორესპონდენტთა შეკრებამ, კიდევ ერთხელ დაადასტურა ამგვარი შეხვედრების საჭიროება, როგორც კორესპონდენტთა ისე რედაქციის წევრთა მხრიდან.

მანანა ბაქრაძე

## ცხარე კამათი ტოლერანტობის შესახებ ანუ ვის აშინებენ კათოლიკეები?

ბაკურიანში აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის რელიგიის ექსპერტების წარმომადგენლები, მსჯელობდნენ მართლმადიდებელი ტრადიციის მქონე ქვეყნებში რელიგიური პლურალიზმისა და სამოქალაქო განათლების შესახებ.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის (ხელმძღვანელი გია ნოდია) ეგიდით დაბა ბაკურიანში, სასტუმრო „თორი-პალასში“ სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საერთაშორისო სემინარი, რომელიც ერთ-ერთმა ჰოლანდიურმა ფონდმა დააფინანსა და, რომელშიც აღმოსავლეთ ევროპიდან ჩამოსული 32 ექსპერტი იღებდა მონაწილეობას. სემინარის თემა იყო – რელიგიური პლურალიზმი და სამოქალაქო განათლება მართლმადიდებელი ტრადიციის მქონე ქვეყნებში.

ბაკურიანის სემინარში სულხან-საბა ორბელიანის თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის ორი პროფესორ-მასწავლებელი (ლევან აბაშიძე და ნუგზარ ბარდაველიძე) იღებდა მონაწილეობას.

სემინარზე გამომსვლელებმა მეტად აქტუალური და შინაარსიანი მოხსენებები წარმოადგინეს (ბაკურიანის სემინარი ამითაც გამოირჩეოდა სხვა მრავალი, ანალოგიური შეხვედრებისაგან, სადაც საკმაოდ უფერული მოხსენებები იკითხება). ყოველ გამოსვლას მრავალი შეკითხვა და ცხარე კამათი მოსდევდა, თუმცა სხდომის წამყვანები: გ. ნოდია, ლ. აბაშიძე და ო. ფოროსტუკი ზუსტად იცავდნენ რეგლამენტს და სამუშაო რეჟიმში ერთი წუთითაც არ დარღვეულა.

პირველ სამუშაო დღის თემას წარმოადგენდა რელიგიური პლურალიზმი და ტოლერანტობის პრობლემა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ნიკალაი მიტროხინის (რუსეთი), ანდრეი იურაშის (უკრაინა) (ეს ორი მეცნიერი გასულ წელს ინსტიტუტ „საბასაც“ სტუმრობდნენ და ლექციების კურსიც წაიკითხეს), ზორან მატევსკის (მაკედონია), დენ ღუნგაციუს (რუმინეთი), და ბექა მინდიაშვილის (საქართველო) მოხსენებებმა.



დიდ აღმოჩენას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ სამყაროში, თითქმის ერთნაირი პრობლემები დგას, მათ შორის, რელიგიურ ცნობიერებაშიც. ამიტომ ყოველ სახელმწიფოში, რომელმაც ამ ათი-თხუთმეტი წლის წინ მოიპოვა დამოუკიდებლობა ან, საერთოდ, პირველად შექმნა სახელმწიფო (ყოფილი იუგოსლავიის მაკედონია ან უკრაინა), მსგავსი პრობლემების გადალახვა უწევთ. აქ გასათვალისწინებელია რელიგიური ფაქტორიც. კომუნისტური რეჟიმის დროს ეკლესიები დათრგუნული იყვნენ და შედარებით თანაბარ პირობებში უხდებოდათ თავის გატანა. დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის პირობებში, რომელმაც პლურალისტური არსებობის გარემო შექმნა ყველა კონფესიისათვის, მწვავე ანტაგონიზმმა იჩინა თავი. აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებელი ეკლესიები, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელმწიფოებში მათი მრევლი დიდ უმრავლესობას შეადგენს, საკმაოდ რთულ პირობებში აღმოჩნდა. მთავარი პრობლემა კი განათლებული და სულიერი კადრების ნაკლებობაა, ასევე, სასულიერო სასწავლებლების დაბალი დონე. სამღვდელოების დიდი ნაწილიც კი პირადი კეთილდღეობის გამო არის შეფარებული ეკლესიას, ამიტომაც ინტელექტუალურ-სულიერი კუთხით მართლმადიდებლები აშკარად ჩამორჩებიან რომის კათოლიკე ეკლესიისა და პროტესტანტული დენომინაციების მღვდელმთავრებს. გრძნობენ რა კათოლიკეებისა და პროტესტანტების უპირატესობას მრევლთან მუშაობის, სოციალური პრობლემების დაძლევის, განათლებისა და აღზრდის სფეროში, აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებელი სამღვდელოების დაბალი და საშუალო ფენა (დიაკვნები, მღვდლები), აშკარად უპირისპირდება კათოლიკეებს და სხვადასხვა PR ხერხებით ცდილობს დააშინოს ადამიანები და უნდობლობა გაუჩინოს მათ კათოლიკეების მიმართ. თუმცა სულ სხვაგვარი განწყობაა მართლმადიდებელ მაღალ იერარქებში. მრავალი მღვდელმთავარი, თუმცა ჯერჯერობით ფარულად, მაგრამ აქტიურად თანამშრომლობს კათოლიკეებთან. ბევრი მართლმადიდებელი სასულიერო პირი ცდილობს განათლება მიიღოს პაპის კათოლიკურ ინსტიტუტებში, თანამშრომლობენ კათოლიკეებთან და პროტესტანტებთან სოციალური პროექტების განხორციელებაში. ხედავენ რა მართლმადიდებელი მღვდელმსახურები თავიანთი იერარქების მეგობრულ ურთიერთობას კათოლიკეებთან, კიდევ უფრო ძლიერდება მათში მომავლისადმი შეშფოთება და შიში. დაბალი სასულიერო განათლების მქონე მღვდლებს ეშინიათ დასავლეთში მომზადებული სასულიერო კადრებისა, გრძნობენ, რომ ისინი მომავალში კონკურენციას ვეღარ გაუწევენ პაპის ინსტიტუტებში მომზადებულ თავიანთ კოლეგებს. ეშინიათ იმისაც, რომ აქტიურად მოღვაწე კათოლიკე მღვდლები სულ უფრო მზარდ სიმპათიებს იწვევენ რიგით მართლმადიდებლებში და შემდგომ ესენი იგივე მოთხოვნებს უყენებენ საკუთარ მოძღვრებსაც: განათლებას, ზნეობას, ზრუნვას საკუთარ მრევლზე და სხვ. ერთი სიტყვით, მართლმადიდებლებს პრობლემები ემატებათ კათოლიკეების მხრიდან და ან უნდა გადაეწყონ დასავლეთ ევროპულ ტოლერანტულ-რაციონალურ, ბეჯით, შრომისმოყვარე, აქტიურ საქმიანობაზე ან თუ უარს არ იტყვიან აღმოსავლურ თვითდაჯერებულობაზე, სიზანტეზე, უდარდებლობაზე, შეიძლება მრევლმა თქვას მათზე უარი. აი, ერთ-ერთი და, ცხადია, არა ერთადერთი მიზეზი ბოლო ათწლეულში გაჩენილი ანტაგონიზმისა რომის ეკლესიის და შიშისა კათოლიკეების მიმართ.

სემინარის მეორე ნაწილი განათლების პრობლემებს დაეთმო. დანიელა კალკანდიევამ წარმოადგინა მოხსენება ბულგარეთში რელიგიის სწავლების შესახებ, შემდგომ კი სემინარი თითქმის მთლიანად დაეთმო რელიგიის სწავლებას საქართველოში. სიმონ ჯანაშიამ წარმოადგინა პროექტი, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ფარგლებში, რელიგიის სწავლების პერსპექტივები თანამედროვე მოთხოვნილებების გათვალისწინებით. განხილული იქნა ქუთაისში ჩატარებული

მორიტორინგის მასალები, მათ შორის, ის ფაქტებიც თუ რა სავალალო, ხშირად ანეკდოტურ დონეზეა დღეისათვის რელიგიის სწავლება მოუმზადებელი და აშკარად არატოლერანტული პედაგოგების მხრიდან. თუმცა დასახელებულ პროექტს კრიტიკოსებც მრავლად გამოუჩნდა. კრიტიკის პირველი ობიექტი კი პედაგოგები არიან, შეძლებს კი განათლების სამინისტრო მოამზადოს და შეარჩიოს სათანადო ინტელექტუალურ-ეთიკური დონის რელიგიის მასწავლებლები, რომლებიც პროექტის მოთხოვნის შესაბამისად, შეძლებენ რელიგიის სწავლებას? მთავარი არის პედაგოგი, თორემ თვით ფიზკულტურის მასწავლებელსაც კი შეუძლია თავისი საგნის სწავლებისას გამოავლინოს რელიგიური ზეწოლა და შელახოს და შეურაცხყოს სხვაგვარად მორწმუნეთა უფლებები.

რელიგიის სწავლებას შეეხებოდა სოფიკო ლობჯანიძის, ბელა სმერაძის და ნინო კალანდარიშვილის მოხსენებებიც. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კონფლიქტოლოგიის ცენტრის თანამშრომლის, ქალბატონ ირინა სულხანიშვილის მოხსენებამ, რომელშიც მოსახლეობაში ტოლერანტობის ხელშემწყობ ფაქტორად ახალგაზრდებისა და ქალების მონაწილეობა წარმოჩინდა ერთ-ერთ ეფექტურ პროცესად. ქალბატონმა ირინამ თავისი ჩვეული მომხიბლაობითა და საკითხისადმი ღრმა წვდომით, მართლაც მოხიბლა სემინარის მონაწილენი და საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია.

სემინარის ბოლოს გამართულ კამათში ცალსახად გამოიკვეთა ერთი მოსაზრება, რომ მართლმადიდებლური ტრადიციის მქონე ქვეყნებში, განათლების სისტემაში უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ფორმებს და არა შინაარსს და მოწოდებები რჩება მოწოდებების დონეზე, ხოლო რეალურად, ბევრი არაფერი კეთდება და რომ, აუცილებელია საფუძვლიანი რეფორმები სწავლების, განსაკუთრებით კი – ტოლერანტული აღზრდის სფეროში. ამ მხრივ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ძალზე ბევრი რამ უნდა ისწავლონ დასავლეთისაგან, განსაკუთრებით კი – კათოლიკური ინსტიტუტებისაგან, ვინაიდან, დღესდღეობით, მსგავსი წარმატებული სისტემა განათლების სფეროში მსოფლიოში ჯერჯერობით არ არის, განსაკუთრებით კი დომინიკელთა და იეზუიტთა მიერ შექმნილი და აპრობირებული სისტემები. თვით კათოლიკეების მოწინააღმდეგენიც კი ცალსახად არჩევენ, რომ შვილები სასწავ მხრივ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ძალზე ბევრი რამ უნდა ისწავლონ დასავლეთისაგან, განსაკუთრებით კი – კათოლიკური ინსტიტუტებისაგან, ვინაიდან, დღესდღეობით, მსგავსი წარმატებული სისტემა განათლების სფეროში მსოფლიოში ჯერჯერობით არ არის, განსაკუთრებით კი დომინიკელთა, ფრანცისკელთა და იეზუიტთა მიერ შექმნილი და აპრობირებული სისტემები. თვით კათოლიკეების მოწინააღმდეგენიც კი ცალსახად არჩევენ, რომ შვილები სასწავლებლად კათოლიკურ სკოლებში მიაბარონ.

**ნუგზარ ბარდაველიძე**

### **საუკუნო განსვენება მიანიჭე მათ, უფალო!**

დათო მამუკაშვილი

\* 1971 წ. 27 აპრილი, ხიზაბავრა

+ 2006 წ. 28 მაისი, ხიზაბავრა

ვაჟა ყრუაშვილი

\* 1946 წ. 9 ივლისი, ხიზაბავრა

+ 2006 წ. 7 ივნისი, ხიზაბავრა

შოთა მღებრიშვილი

\* 1930 წ. 4 იანვარი ახალშენი  
+ 2006 წ. 21 ივნისი, ახალშენი

## სარჩევი

რედაქციის გვერდი  
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში  
კათოლიკე ეკლესია საქართველოში  
მკითხველები გვწერენ  
სულიერება  
სოციალური პრობლემები  
პოეზიის გვერდი  
ინტერვიუ  
ინფორმაცია  
ახალგაზრდული გვერდი

საგანგებო ჩანართი:  
წმ. პეტრეს ბაზილიკა რომში

## რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი  
ნუგზარ ბარდაველიძე  
ნატო ბიგვავა  
ვერიკო ნოზაძე  
მერაბ ღალანიძე  
ზაზა შათირიშვილი  
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:  
თბილისი, გია აბესაძის ქ. №4  
ტელ.: 98-95-16  
რეგისტრაციის № 1853  
დაარსდა 1994 წ.  
მანანა ანდრიაძის მიერ  
© „საბა“, 2006

## ახალგაზრდული გვერდი

### ერთი წელის შემდეგ კელნის შეხვედრიდან

*ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პაპი ბედელიქტე XVI კელნში მსოფლიოს კათოლიკე ახალგაზრდებს შეხვდა. მომდევნო მნიშვნელოვანი წელიწადი საქართველოს ახალგაზრდა კათოლიკეებისათვის ეპისკოპოსის*

*მიერ სინოდის მოწვევა იყო. როგორ ხვდებიან ჩვენი ეკლესიის ახალგაზრდები ამ მნიშვნელოვან მოვლენას?*

*ჩვენმა ახალგაზრდულმა საბჭომ სინოდთან დაკავშირებული საქმიანობა შემდეგნაირად წარმართა: ვცდილობთ ყველა ახალგაზრდა გავამხნევოთ და დავეხმაროთ მათ თავიანთი რწმენის განმტკიცებაში. ამ მიზნით, ორგანიზება გავუკეთეთ ახალგაზრდების შეხვედრებს. 19, 20 და 21 მაისს. შეხვედრა გვექონდა მესხეთის ულამაზეს კუთხეში – ივლიტაში. მართალია, მრავალრიცხოვანი შეკრება არ გამოვგივიდა, მაგრამ, თავისი შინაარსითა და ფორმით ის საკმაოდ დატვირთული და ლამაზი იყო.*

*ამ დღეებთან დაკავშირებით, რამდენიმე ახალგაზრდამ სიამოვნებით გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილება:*

*“ამ შეხვედრამ გადამაწყვეტინა, რომ წირვაზე ყოველთვის ვიარო” – მარი.*

*“ივლიტაში სხვა ახალგაზრდებთან ერთად ყოფნამ პირადად უდიდესი სულიერი სიმშვიდე მომგვარა და რწმენაც განმიმტკიცა. ამის გამო დიდ მადლობას ვუხდით მთელ ახალგაზრდულ საბჭოს” – გიორგი გიქოშვილი.*

*“ვფიქრობ, რომ ახლანდელი ახალგაზრდული საბჭო ძალიან კარგია, რადგან მათ გაიზიარეს ჩვენი პრობლემები და გულთან ახლოს მიიტანეს” – ნინიკო.*

*“მართალია ბევრი არ ვიყავით, მაგრამ მაინც ბევრი რამ ვისწავლე. ვინც არ მოვიდა, მათ ძალიან ბევრი რამ დაკარგეს.” – თინიკო მამუკაშვილი.*

*“ამ შეხვედრამ ჩემში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ბევრი რამ გავიგე ცხოვრების შესახებ. ვფიქრობ, ასეთი შეხვედრები გაადრმავებს ადამიანთა შორის სიყვარულსა და პატივისცემას” – ანტონ ჩილინგარიშვილი.*

*“ჩემი აზრით, არაფერი არ ხდება შემთხვევით. ახალგაზრდებთან შეხვედრა ერთმანეთისათვის აზრების გაზიარება და ქრისტეზე საუბარი ძალიან ნაყოფიერი იყო ჩემთვის. მართლაც ყველაფერი ღმრთის ნებაა” – ხათუნა.*

*„კელნში პაპათან და მსოფლიოს დანარჩენ ახალგაზრდებთან შეხვედრის შემდეგ ჩემში რაღაც შეიცვალა, ახლა უფრო მეტი რწმენით ვემსახურები ეკლესიას. კელნში მე ძალიან ბევრი ახალგაზრდა კათოლიკე ვნახე, რამაც ჩემზე მნიშვნელოვნად იმოქმედა და დადებითი მუხტით ამავესო, უფრო აქტიური გავხდი. საქართველოში კათოლიკე ახალგაზრდები ცოტანი ვართ. მე, პირადად, უმეტესად მართლმადიდებელი მეგობრები მყავს, კათოლიკეები კი – ცოტა, ამიტომ ყველას ვუსურვებდი, რომ უფრო ძლიერები და მტკიცენი გავხდეთ რწმენაში, ცოტა როდი ნიშნავს უხარისხოს. ჩემს კათოლიკე მეგობრებს მოვუწოდებ, უფრო ძლიერნი გახდნენ რწმენაში და აქტიურნი ეკლესიაში. ამ ერთ წელიწადში ჩემს პირად ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა: გავხდი ახალგაზრდული საბჭოსა და სინოდის წევრი“ – ლაშა მამულაშვილი*

*“... თქვენ აღმოსავლეთიდან მოსულეობ განსაკუთრებით მოგესალმებით! ვინაიდან ხართ როგორც სამი მოგვი, რომლებმაც დატოვეს თავიანთი სამშობლო და გაჰყვნენ ვარსკვლავს.”*

*„როდესაც კელნში პაპის ეს სიტყვები მოვისმინე, – იხსენებს მიხეილ რაფაელოვი, წმ. პეტრე და პავლეს სახელობის თბილისის სამრევლოდან, – გულში ჩამრჩა განსაკუთრებით ის, რომ პაპი მოგვიწოდებს ვიყოთ როგორც ის სამი მოგვი, რომლებმაც ყველაფერი შესწირეს, რაც გააჩნდათ და თავიანთი სცეს პატარა და უსუსურ მეფეს! ეს ზუსტად ის მოწოდებაა, რომელზედაც ამ ერთი წლის განმავლობაში ვფიქრობდი, როგორ შემეცვალა ჩემი ცხოვრება მოგვებისა და წმინდანების მაგალითზე. რა თქმა უნდა, ასი პროცენტით ვერ შევძელი ჩემი ცხოვრების შეცვლა, მაგრამ იმდენი მაინც შევძელი, რომ წმ. მამის მიერ ჩემში დათესილი თესლი არ ჩამეკლა და უფრო მეტად გამეღვივებინა. ვცდილობ, მას*

ჩემს ცხოვრებაში ფესვები გავადგმევეინო. ამის მაგალითია ის, რომ მსურს გავხდე სამღვდელო დასის თანამონაწილე.”

ახალგაზრდულ საბჭოს მსგავსი შეხვედრა დაგეგმილი აქვს უდის ახალგაზრდებთან, უდის მთაზე 2-დან 5 აგვისტოს ჩათვლით.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

ჰორიზონტალურად:

1. აბა, 4. ნათია, 9. კინო, 13. არაგვი, 15. ბიცოლა, 16. დავითი, 17. აა, 18. ძუ, 19. ვსვამ, 22. ერა, 24. რას, 25. ანას, 27. აი, 29. ბათუმი, 31. იასამანი, 34. ქება, 35. იგი, 38. აბი, 40. ბაყაყი, 41. ვლოცულობ, 45. ღილის, 46. ბერი, 49. თათბირი, 51. ისინი, 52. არიან, 55. მიამიტად, 56. არეკვლა, 57. აია, 59. ზიარება, 63. ასი, 65. ასე, 67. არხი, 68. ისევ, 71. ოსი, 72. ღირიკა, 74. მე, 76. იმოდენა, 79. არაიშვიათი, 83. აი, 84. ელენე, 85. ძილი, 86. მდიდარი, 88. ისინი, 90. ნუ, 91. იისა, 92. კაი, 93. ავი.

ვერტიკალურად:

2. ბაბუ, 3. გოლიათი, 4. ნადირი, 5. არა, 6. თავისი, 7. იგი, 8. ავთვისებიანი, 10. იქ, 11. ოდა, 12. ოცნება, 14. იის, 17. ამან, 18. ძია, 20. ვამაყო, 21. ანა, 23. რა, 26. სიცილია, 28. ინგლისური, 30. მე, 32. აქ, 33. აბა, 35. იელი, 36. იოლი, 37. რუსი, 39. იმ, 42. ცინიკოსი, 43. ობი, 44. ბე, 47. რამ, 48. ირიბი, 49. თამარაშვილი, 50. იუდა, 53. ია, 54. ალი, 58. ანუ, 60. ეს, 61. ბე, 62. მარიამი, 63. ახლო, 64. ასი, 66. ასეა, 68. ირანი, 69. ეკა, 70. ვარძია, 71. ომი, 72. ლელა, 73. ინერ, 75. კი, 77. მიდი, 78. დედა, 80. აისი, 81. შინ, 82. თან, 87. ის, 89. ია.

**ახალგაზრდების საყურადღებოდ!!!**

**წეროვანში, 14-15 აგვისტოს ჩატარდება ახალგაზრდებთან შეხვედრა.**

**გეპატიუებით ყველას!!!**

**დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ თქვენი საკრებულოს მოძღვარს.**

*ახალგაზრდული საბჭო*

**წმიდა პეტრეს ბაზილიკა რომში**

*საგანგებო ჩანართი*

რომში აგებული წმინდა პეტრეს ბაზილიკა თავისი მდებარეობითა და აგებულებით გაუცალკავებლად ებმება წმიდა მოციქულის საფლავს. მოციქულთა მეთაურის სამარხზე, პაპ ანაკლეტის ნება-სურვილით, დაახლოებით 160 წელს აიგო ნაგებობა, რომელიც მომლოცველებს წმიდა ნაწილების შესანახ ალაგზე მიანიშნებდა. იმპერატორმა კონსტანტინემ 324წ. საძირკველი ჩაუყარა ახალი ბაზილიკის მშენებლობას, რომელიც 326წ. ეკურთხა პაპი სილვესტრეს მიერ და საუკუნის შუახანებში კონსტანტეს იმპერატორობის ჟამს დასრულდა. საუკუნეების

მანძილზე მრავალჯერ განუცდია სახეცვლილება და შეჭრა ბაზილიკას, მანამდე, ვიდრე პაპი ნიკოლოზ V, 1492წელს, ბერნანდო როსელინის არ მიანდობს ნაგებობის მოდიფიკაციას და გამყარებას. ნიკოლოზ V-ის სიკვდილის შემდეგ სამუშაო უპატრონოდ იქნა მიტოვებული, ვიდრე პაპმა იულიუს II-მ საბოლოოდ და რადიკალურად არ მოჰკიდა მას ხელი: 1506წლის 18 აპრილს პაპმა ახალი ნაგებობის პირველი ქვა ჩადო.

წმინდა პეტრესადმი მიძღვნილი, ახალი ნაგებობის პირველი ქვის ჩადებიდან ხუთასი წლის შემდეგ, გვსურს მოკლედ წარმოვიდგინოთ ის ორიათასწლოვანი ისტორია, რომელსაც ეს ვეებერთელა ნაგებობა იტევს.

ბაზილიკის ამჟამინდელი შენობა, – აღორძინებისა და ბაროკოს ხელოვნების უზადო ნიმუში, კონსტანტინესდროინდელი ბაზილიკის ფუნდამენტზეა აგებული, რომელიც თავის მხრივ, უძველესი ნეკროპოლის ადგილზე იქნა წამომართული.

ამრიგად, ეს ვეებერთელა კომპლექსი სამ არქიტექტურულ მოწმეობას იძლევა:

1. **რომის ნეკროპოლი.** ბაზილიკა იმ ადგილის ირგვლივ აღმოცენდა, სადაც ტრადიციის მიხედვით მოციქული პეტრე იქნა დამარხული. ეს იყო დაბლობი ვაკე, განფენილი მდინარე ტიბრის ნაპირებიდან ვატიკანის ბორცვის ფერდობებამდე. ამ ზონაში შედიოდა კერძო მიწათმფლობელობა და ნერონის მიერ აგებული ცირკი; აქვე განლაგებული იყო სამარხები და მავზოლეუმები. სადღაც ამ მიდამოებში იქნებოდა დამარხული პეტრე სიკვდილის შემდეგ (64 ან 67 წ.). იმ ადგილზე, სადაც იგი დაფლეს, პატარა სადგომი წამომართეს, წითლად შეფერადებული კედლით. სწორედ მასზე ვხვდებით ადრეულ ქრისტიანთა მიერ დატოვებულ პირველ გრაფიკულ ნიმუშთა კვალს, მათ შორის ერთ-ერთი შემდეგი სიტყვებით გადმოიცა: “პეტრე აქ არის”. ქრისტიანული საკრებულოს აზრით, ეს იყო მოციქულ პეტრეს სამარხი. III საუკუნის ერთი ბერძნული ტექსტი ადასტურებს, რომ მოციქული ეწამა “ნერონის ობელისკში”, ამრიგად, უნდა მივიჩნიოთ, რომ პეტრე ვატიკანის ბორცვზე ეწამა. სწორედ ამ ტექსტიდან ვიგებთ, რომ პეტრე ჯვარს აცვეს. ეს სახეებით შესაძლებელია, რადგან რომაელი ისტორიკოსი ტაციტიუსი, როდესაც ნერონის მხრიდან ქრისტიანების დევნას ასახავს (*ანალები, XV-44*), ამბობს, რომ მრავალი ქრისტიანი იქნა ჯვარცმული. ყველაზე საყურადღებო ცნობა ვატიკანის ბორცვზე ჯვარცმული პეტრეს სამარხის შესახებ მოტანილია ევსებოსის “საეკლესიო ისტორიაში”, პალესტინის კესარიის ეპისკოპოსზე, რომელიც საუბრობს რომაელი მღვდელის *გაიოსის* სიტყვებზე, პაპი ძეფერინოს (198-217წწ) პერიოდში: “*ხოლო მე შემიძლია გაჩვენო მოციქულთა “ტროფეები”, რადგანაც ვატიკანში წახვალ თუ პოსტიანის გზაზე, ორივეგან იპოვი მათ ტროფეებს, ვინც ეს ეკლესია დააარსა*”. ბერძნული ტერმინი “*ტროპაიონ*” მეცნიერებმა გაიგეს როგორც “*საპატიო მონუმენტი*” ან როგორც “*სამარხი*”. ტექსტის მთლიანი შინაარსიდან გამომდინარე, უფრო ზუსტი თარგმანია “*სამარხი*”. ამ მოწმობიდან ჩანს, რომ 200 წლისათვის რომში უკვე ზუსტად იცოდნენ მოციქულების პეტრესა და პავლეს საფლავები. ინფორმაცია, რაც ლიტერატურული წყაროებიდან მოგვეპოვება, ვატიკანის ბაზილიკის ქვეშ წარმოებული არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, როდესაც 1942 წლის 13 მაისს პაპმა პიუს XII-მ შეძლო საჯაროდ განეცხადებინა წმიდა პეტრეს საფლავის პოვნის შესახებ, რომელიც ზუსტად ბაზილიკის საპაპო ალტარის ქვემოთ იყო მოთავსებული. 1952წელს, კიდევ ერთი წარწერა გაშიფრეს: *პეტრე ილოცე შენი სხეულის ირგვლივ დამარხული წმიდა ქრისტიანებისთვის - PETRUS ROGA SANC [TI]S HOM [INI]BUS CHRISTIANIS AD CO[R]PUS TUUM SEP[ULTUS].*

2. **კონსტანტინეს ბაზილიკა.** პეტრეს სამარხის ირგვლივ, იმპერატორმა კონსტანტინემ გადაწყვიტა უზარმაზარი ბაზილიკის მშენებლობა დაეფინანსებინა, რომელიც ქრისტიანობის ერთ-ერთ ყველაზე წმინდა ალაგად იქცეოდა. შენობის ასაგებად საჭირო გახდა ვატიკანის ბორცვის გასწორება და არსებული ნეკროპოლის მთლიანად განადგურება. ეს ერთობ გაბედული და სარისკო

გადაწყვეტილება იყო, ვინაიდან იგი სამარხების ხელშეუხებლობის პრინციპს არღვევდა, ამავდროულად იმასაც აჩვენებდა, თუ რარივ აქტუალური გახლდათ ეს პროექტი იმპერატორისთვის. ბაზილიკის საძირკველი 324 წელს გაითხარა. სამუშაოს დასრულების შემდეგ ნაგებობას ძველამოსილი იერი მიეცა, კიბეებით მაღლა შემართულს იგივე სტილი ჰქონდა, როგორც ჰოსტიანისის გზაზე აგებულ წმ. პავლეს ბაზილიკას; იგი ოთხკუთხოვანი ნაგებობით იყო შეკრული, რის შიგნითაც შადრევანი მოთავსდა, ტაძარს ლათინური ჯვრის ფორმა ჰქონდა და შიდა დარბაზი ხუთ ნავად იყო დაყოფილი. დღესაც ისმის კითხვა, თუ რატომ არ შეარჩია კონსტანტინემ ბაზილიკისათვის უფრო ადვილად ასაგები ადგილი და რატომ მისცა ეკლესიის აბსიდს პირი დასავლეთისკენ და არა აღმოსავლეთისკენ? პასუხი აშკარაა: იგი უნდა აგებულყო მოციქულის სამარხზე და სამარხი უნდა ყოფილიყო მთელი აბსიდის ცენტრი, საიდანაც ბაზილიკა აღმოსავლეთის მიმართულებით იქნებოდა წაგრძელებული. უნდა აღინიშნოს, რომ კონსტანტინეს მიერ აგებულ ყველა ტაძარზე დიდა. ტრადიცია გადმოგვცემს, რომ მას შემდეგ, რაც კონსტანტინემ საიმპერატორო გვირგვინი დაიდგა თავზე, მან პირველმა დაარტყა ბარი მიწას, რათა ბაზილიკის პირველი საძირკველი გაეთხარა, და თორმეტი მოციქულის საპატივცემულოდ, მიწიდან თორმეტი სათავსო ამოიღო და თავისი ზურგით გადმოიტანა. დღეს, კონსტანტინესეული ბაზილიკიდან საძიკვრლის რამდენიმე კედელი თუა შემორჩენილი, რომელიც თერთმეტი მეტრის სიღრმეში ჩადის და იმ ფუნდამენტური სვეტების ზოგიერთი ნაწილი, რომლებიც ბაზილიკას ხუთ ნავად ჰყოფდა. თორმეტ საუკუნეზე მეტხანს აოცებდა მნახველს კონსტანტინესეული ბაზილიკა თავისი უზარმაზარი სივრცით და ხელოვნების მდიდრული ნიმუშებით, რასაც დრო და დრო მსოფლიოს ყველა კუთხიდან წამოსული ხალხის პირადი ძღვენიც ემატებოდა. ბაზილიკის კედლები მორწმუნე თაობების ცოცხალი მემკვიდრეები გახლდნენ, მოციქულებთა მეთაურის სამარხისა და მისი ტახტისა, ასევე მისი მემკვიდრეების – რომის პაპებისა; მისი კედლები ცოცხალი მოწმეები იყო იმპერატორთა გრანდიოზული კურთხევისა, როგორც იყო, მაგალითად, *კარლოს დიდის* მეფედ კურთხევა 800 წ. ქრისტეშობაზე; ასევე მოწმენი გახლდნენ ისეთი ძარცვა-რბვისა, როგორც იყო 846წ. სარაცილების მიერ, რომლებმაც ბაზილიკიდან ყველა განძი გაიტანეს, მათ შორის უძვირფასესი ლამპრები, რომლებიც პეტრეს სამარხს ანათებდნენ. ეს ლამპრები, სულ რამდენიმე დღეში მესინას ზღვის ფსკერზე ჩაიძირნენ იმ ძლიერი შტორმის გამო, რომელშიც მთელი ეკიპაჟი მოჰყვა.

**3. აღორძინებისა და ბაროკოსუამინდელი ბაზილიკა.** 500 წ. დასაწყისში, კონსტანტინესეული ბაზილიკა უკვე არაჰარმონიული სტილის ერთობლიობას, საყრდენშერყეულ ტაძარს წარმოადგენდა, მიყენებული ხანძრისა თუ მოუვლელობის გამო, რაც შედეგად მოჰყვა პაპების ავინიონში ტყვეობას. გადაწყვეტილება, რომ მთლიანად დაენგრიათ ძველი და მის ადგილზე ახალი შენობა აეგოთ, პაპმა იულიუს II-მ მიიღო (არჩეული იქნა პაპად 1503 წ.). მას, როგორც ძალზე პატივმოყვარე ადამიანს, სურდა ბაზილიკა პრესტიჟულ ალაგად გადაექცია და ამით ხორცი შეესხა საკუთარი სიდიადისა და ძალის იდეალზე, ასევე მის საზღვრებში მოექცია საკუთარი ფარაონისებრი სამარხი, რომლის აგებაც მან მიქელანჯელოს დაავალა. ახალი ბაზილიკის პროექტის შედგენა არქიტექტორ ბრამანტეს დაეკისრა. სამუშაოები 1506 წლის 18 აპრილს დაიწყო, როდესაც პაპმა საძირკვლის ქვის ჩადება გადაწყვიტა. პროექტს უნდა ჰქონოდა ბერძნული ჯვრის ფორმა, ერთი დიდი გუმბათითა და ოთხი პატარათი. როდესაც ახალი ბაზილიკის პირველი ქვა ჩაიდო, პირველი სვეტი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით წამოიმართა იმ ოთხი სვეტიდან ერთს, რომლებიც ამჟამინდელ პაპის საკურთხეველს ეკვრის გარს, სახელად ეწოდა *ვერონიკა*; ამით იმ მოწმეობაზე გასცა დასტური, რომელიც ქრისტიანობის ერთ სასწაულ რელიქვიასზე

მიანიშნებდა, ვატიკანში რომ ინახებოდა. სამწუხაროდ, 1527წელს, რომის დარბევისას რელიქვიები აქედან გაიტანეს, და სავარაუდოდ, იგი ამჟამად იტალიის რომელიმე წმიდა სავანეშია. დღეს ორიგინალი შეცვლილია რეპროდუქციით. ასე და ამრიგად, წმიდა პეტრეს ბაზილიკაში სხვა ურიცხვი რელიქვიაა მოთავსებული, განსაკუთრებით კი წამებულებისა და წმიდანების ძვლები და სხეული. მათ შორის მრავალი ისეთი რელიქვიაა, რომლებიც ქრისტიანული რწმენის ფესვებს უკავშირდება და დღეს ლიტურგიაში გამოიყენება ან ბაზილიკის მუზეუმებშია დაცული. იმ სვეტის შიგნით, რომელსაც *ვერონიკა* ეწოდება, მოთავსებულია ორი რელიქვიური საგანი, რომლებმაც სახელი მისცეს ჩრდილო-დასავლურ და ჩრდილო-აღმოსავლურ სვეტს. ნამდვილი ჯვრის ძელი და იმ შუბის ბოლო ნაწილი, რომელიც ასისტავმა გამოიყენა ჯვარცმულის სხეულის განსაგმირავად (*ორივე ეს რელიქვია პალესტინაში იპოვეს და იმპერატორ კონსტანტინეს დედას, წმიდა ელენას ჩამოუტანეს*). მეოთხე, სამხრეთ-აღმოსავლეთის სვეტი წმ. ანდრიას სახელობისაა, ვინაიდან მასში მოთავსებული იყო 1462 წელს აღმოსავლეთიდან რომში ჩამოიტანილი მისი სხეული (*დღესდღეობით, ეს რელიქვია მდებარეობს პატრას კათედრალში, რადგანაც 1964 წელს პავლე VI-მ, მეგობრობის და ეკუმენური მშვიდობის ნიშნად მათ დაუბრუნა; იგივე რელიქვია საქართველოშიც მოსალოცად ჩამოაბრძანეს ორი წლის წინათ*).

ასეა თუ ისე ბაზილიკის აგება ვერ დასრულდა, რადგანაც 1513 წ. პაპი იულიუს II გარდაიცვალა, მომდევნო წელს კი – არქიტექტორი ბრამანტე. ახლადარჩეულმა პაპმა ლეონ X მშენებლობის ხელმძღვანელად რაფაელი მოიწვია, მაგრამ ვინაიდან მისი არქიტექტორული ნიჭი შედარებით დაბალი აღმოჩნდა, ვიდრე მხატვრული, ორი ახალი არქიტექტორი მოიწვიეს: *ჯულიანო სანგალო* და *ძმა ჯოკონდა* ვერონიდან. სამუშაოს გამართვას ბევრი ფული სჭირდებოდა, რის გამოც ლეონ დიდმა დაადგინა, რომ ფული ინდულგენციების გაყიდვის გზითაც შეეგროვებინათ. ისტორიიდან ვიცით, რომ სამწუხაროდ, სწორედ ეს გახლდათ მიზეზი მარტინ ლუთერის პროტესტისა (1517 წ.), რამაც ეკლესია პროტესტანტული რეფორმის მიზეზით გახლიჩა. ახალი ბაზილიკის მშენებლობამ დიდხანს ვერ გასტანა, რადგანაც რაფაელმა კვლავ შეცვალა პროექტი და ბერძნული გეგმიდან ლათინურზე გადავიდა. 1520 წელს რაფაელი გარდაიცვალა და სხვა არქიტექტორების მიუხედავად, მშენებლობას დიდად ვერ წავიდა წინ. 1527 წელს, კარლოს V-ის გერმანელი ჯარისკაცების მხრიდან რომმა ძარცვა-რბევა განიცადა, ეს ყველაზე სევდიანი და სისხლიანი გვერდია რომის ისტორიაში. მემპტიანე ვატიკანის აოხრებულ მდგომარეობას აჩვენებს, სადაც მოსჩანს ძველი ბაზილიკის ნაშთები და გაველურებული ბალახებით დაფარული ახალი ნაგებობის კედლებიც. არქიტექტორ *სანგალოს* სიკვდილის შემდეგ, 1546წელს, ახალი ბაზილიკის აგება მიქელანჯელოს დაეკისრა, ამ დროისათვის იგი 71 წლისა იყო, მაგრამ სავსე ენერგიით და ძალით. რისი გაკეთება მოისურვა მიქელანჯელომ? შეემცირებინა ბაზილიკის მასიურობა და დაებრუნებინა ბერძნული ჯვრის ფორმა, როგორც ეს დააპროექტა *ბრამანტემ*. ასეთი ცვლილება უფრო დაზოგავდა თანხას და ნაგებობაც შედარებით ნაკლებმასიური იქნებოდა, თუმცა არა ნაკლებად დიადი. ბერძნული ჯვრის პროექტმა უფრო მეტად შეუწყო ხელი გუმბათს, რომელიც მან თავად დაგეგმა, მაგრამ ხელოვანი ვერ მოესწრო თავისი ნიმუშის ხილვას, იგი 1564 წელს გარდაიცვალა 80-ს მიღწეული. მაშინ მოიწვიეს სხვა არქიტექტორი და მას მიანდეს მიქელანჯელოს გუმბათის დასრულება, ეს გახლდათ *ჯაკომო დელა პორტა*, რომელიც ექვსასამდე მუშას იხმარდა მთელი დღე-ღამის მანძილზე, მაგრამ დასასრულებელი რჩებოდა ბაზილიკის სხვა მნიშვნელოვანი ნაწილებიც, როგორც იყო მაგალითად ფასადი. ამაზე არქიტექტორმა *კარლო მადერნომ* იფიქრა, რომლის მეთაურობით პროექტმა კიდევ ერთი სახეცვლილება განიცადა და ისევ ლათინურ ჯვარს დაუბრუნდა. შედეგი მოიტანა ის, რომ დიდი გუმბათი ნაკლებ ხილვადი



გახდა. ამ უზარმაზარ საქმეს, რომელიც თავის დასასრულს უახლოვდებოდა, კიდევ ერთი დიდი არქიტექტორის ბეჭედი აკლდა, ეს იყო *ჯან ლორენცო ბერნინი*, რომელიც ბაზილიკაზე სამუშაოდ პაპმა ურბან VIII-მ მოიწვია 1623 წელს. მან საკუთარი ხელწერა ისეთი შედეგებით დაგვიტოვა, როგორცაა ბრინჯაოს მოოქროვილი ბაზილიკის, თავისი ოთხი დაგრეხილი სვეტებით პაპის საკურთხეველსა და პეტრეს სამარხს ზემოთ, აბსიდზე მოთავსებული “დიდება”, რომელიც ინახავს ე. წ. პეტრეს კათედრის ნაშთებს და ურბან VIII-ისა და ალექსანდრე VII-ის სამარხის მონუმენტებს. მასვე წილად ხვდა იმ კოლონადის დაპროექტებისა და შესრულების მისია, რისი მეშვეობითაც ბაზილიკა ერთი შეხედვით ლამის მთელ მოედანს და მთელ სამყაროს ეხვევა. ბერნინიმ დააპროექტა მესამე კოლონადა, რომელსაც ელიფსი უნდა შეეკრა, მაგრამ მას სისრულეში მოყვანა არ ეწერა.

XVIII საუკუნის ოცდაათიანი წლების მიწურულს ბაზილიკის მოედანი ნახევრად დაიფარა ვიწრო ქუჩებითა და სახლებით, ე.წ. “ბორგოს ეკლებით”. ფაშიზმის მიერ აღხრებული (პირველი ყუმბარა მას თავად მუსოლინიმ ესროლა) უბნის ადგილზე სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის შერიგების სახელობის დიდი ხეივანი გაშენდა. ეს გახლდათ იმ შემოქმედებითი დესტრუქციული პროცესების უკანასკნელი ნაბიჯი, რაც ათას ექვსასი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა პეტრეს სამარხის ირგვლივ.

**მამა გაბრიელე ბრაგანტინი**